საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციონო პარტია

№ 284 1918 წ. ხუთშაბათი ივლისის 18 № 284

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

სიღნაღის თავდაცვის კომიტეტმა აღუკრძალა [illegible] სიღნაღსა და მის მაზრაში შესვლა.—მთავრობამ დაადგინა განაახლოს საგერბო გადასახადი.—ადერბეიჯანს მიეცა გორის სამასწავლებლო სემინარია მთელი ქონებით. სოც:-რევოლიუციონრებმა პეტროგრადში აჯანყება მოაწყვეს: შეამბოხენი ბოლშევიკებმა დაამარცხეს.—დასავლეთის ფრონტზე, მარნაზე, სასტიკი ბრძოლა სწარმოებს.—

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ—1 მან., უკან—50 კაპ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15—2 ღირს 10 მან., 20—2 ღირს 15 მან., 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში“ (კ. თავართქილაძესეული „ნადეჟდა“) ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება სამი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ“, поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.

ტელეფონი 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე“ ღირს:

ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის“ რედაქციას.

უდროოდ გარდაცვლილი

დიმიტრი როსტომის ძის

მელაძის

მეუღლე შვილებით უღრმეს მადლობას უძღვნის მას ვინც პატივი სცა მიცვალებულის ხსოვნას. 758

ვანო შაქრო და ვახტანგ გიორგის ძენი მღვდლიშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს, რომ ქ. ტფილისში მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სიძე

მღვ. მიხეილ (მიშა) ალექსის ძე გაგლოშვილი

პანაშვიდი საღამოს 8 საათზე (ახ. დრ.) მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიაში. გამოსვენება პარასკევს 2 საათზე კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე სადაც იქნება დაკრძალული. 759



დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ბაღი, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 18—00.

დღეს ივლისის 18 ს 1918 წ. გაიმართება

საუცხოო წარმოდგენა

მთელი დასის მონაწილეობით, მსოფლიო ამოცანა ხარაკირი, გასტროლი სლასტუშინსკისა და სხვ.

მთავარი გამგე: ბ. ედიზაროვი.

752

ანონსი

შაბათს, 1918 წლის ივლისის 13-ს გაიხსნება პირველი ხარისხის სასადილო

„საქართველო“

ყოფილი „ამირანი“ პუშკინის ქუჩა ძველი სემინარიის შენობაში. შენობა ახლად შეკეთებულია ცალკე კაბინეტებით დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

სადილი შუადღის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე, ვახშამი საღამოს 9 საათიდან ღამის 1 საათამდე. სამზარეულო აზიური და ევროპიული, საჭმელები კეთდება საუკეთესო მასალიდან საუკეთესო მზარეულის ხელმძღვანელობით.

## ამხანაგების საყურადღებოდ

ბათომის პარტიზანული პოლკის ტრიბუნალი მოუწოდებს ქალაქელ და სოფლელ ამხანაგებს ჩაეწერონ ამ პოლკში. ჩაწერა შეუძლია ყველას 19 წლიდან 43-მდე, ე. ი. იმათ, რომელთაც ეხება მობილიზაცია და, აგრეთვე მოხალისედ 23 წელზე ზევით. პირობები და მდგომარეობა ისეთია, როგორც ჩვეულებრივ რეგულიარულ პოლკში. (ჯარის-კაცებს ჯამაგირი ეძლევა თვეში 35 მანეთი, საჭმელ-სასმელი და ტანისამოსი; ოფიცრებიც საერთო პირობებში). დაწვრილებით გაგება ცნობებისა შეიძლება ტფილისში სოციალისტ-ფედერალისტთა მთავარ ბიუროში, ლორის-მელიქოვის ქ. № 1.

**ტფილისი. 1918 წ. ივლისის 17.**

**ლტოლვილები საქართველოში.**

ომის ერთი დიდი უბედურებათაგანი ისიც არის, რომ ბრძოლის ასპარეზიდან მშვიდობიანი ხალხი იძულებული ხდება აიყაროს და იქითკენ გაიქცეს, სადაც მეტი მშვიდობიანობა ეგულება. ოსმალეთის ჯარების შემოსევის გამო დიდძალი სომხობა დაიძრა თავისი ადგილიდან და საქართველოში შემოიხიზნა. სომხის ლტოლვილები მთელ საქართველოს მოედვნენ. იმათ ნახავთ ქართლში, კახეთში, იმერეთში, ლტოლვილობამ პირდაპირ მასიური გადმოსახლების ხასიათი მიიღო. ამასთანავე ერთად ამ გადმოსახლებას ისეთი ხასიათი აქვს, რომ ყველა ეს ლტოლვილი საქართველოში დამკვიდრებასა და დაბინადრებას აპირებს.

ჩვენ, რასაკვირველია, ვერას გზით ვერ გავიზიარებთ ნაციონალ-დემოკრატების იმ შეხედულობას, რომ საქართველოს მთავრობავალდებულია თავის მხრით დევნა დაუწყოს ისეც დევნილ ხალხს. მაგრამ ლტოლვილთა საკითხი რაიმე ნორმალურ კალაპოტში უნდა ჩადგეს, რადგანაც ასეთი მასიური გადმოსახლება სომხებისა საქართველოში მძიმე ტვირთად დააწვება ისეც ჩვენს მშრომელ ხალხს—გლეხკაცობას.

საქართველოს პური აკლია, ბევრს ადგილას ქართველი ხალხი უკვე შიმშილს განიცდის. ამისთვის პირობებში მთავრობა იძულებული ხდება უკანასკნელი ლუკმა გამოჰგლიჯოს პირიდან დამშეულ ქართველ ხალხს და საქართველოში შემოხიზნულ სომხებს გაუნაწილოს. დროებით იქნება მთავრობა იძულებული იყოს ასე მოიქცეს, მაგრამ, თუ ასეთი მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდა, ლტოლვილთა საკითხი ძირს გამოუთხრის ჩვენი ხალხის ეკონომიურ კეთილდღეობას.

გარდა ამისა, რაღაც უცნაური მიზეზით ყოველი ლტოლვილი სომეხი, რომელსაც სტუმართ-მოყვარეობას უწევს საქართველოს მთავრობა, თვით ამ მთავრობის საწინააღმდეგო აგიტატორად გადაქცეულა.

სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ „ერთობა“-ში დაბეჭდილია საყურადღებო კორესპონდენცია კახეთიდან, სადაც შემოხიზნული სომეხი ლტოლვილები, თურმე, პირველ დღიდანვე იწყებენ ქადაგებას და აგიტაციას საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ. ნახევარი სილაღნაღი პროპაგანდისტი საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ აუცილებლად მიაღწევს თავის მიზანს, თუ მთავრობამ დროზე არ მიიღო ზომა და ლტოლვილთ თავიანთი ადგილი არ მიუჩინა.

სომხეთმა თავისი დამოუკიდებელი რესპუბლიკა შექმნა და არა გვგონია ამ რესპუბლიკისთვის სახეირო იყოს, რომ სომეხი მცხოვრებლები სომხეთიდან დაიძრას და საქართველოში დასახლდეს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს სომხის სახელმწიფო ინტერესებსაც არ შეეფერება და ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს მთავრობა სომხეთის მთავრობასთან შეთანხმებით მოახერხებს ლტოლვილების დაბრუნებას სომხეთში.

## ქართული პრესა

გაზეთი „ერთობა“ შემდეგს სწერს სომხის ლტოლვილების და დაშნაკცაკანების შესახებ:

ამ ბოლო დროს აყარაბული ხალხი მოაწყდა თელავს, რამაც გამოიწვია საშინელი სიძვირე როგორც სანოვაგისა, აგრეთვე სახლებისა. ამას ზედ დაერთო სხვა და სხვა სენით ავადმყოფობის გავრცელება, რომელიც თან მოიტანა ამ შემოსულმა ხალხმა—ასე რომ, თელავი მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია ჩავარდნილი ამ მხრით და თუ ასე გაგრძელდა, მოსალოდნელია არა სასიამოვნო ექსცესები. ამ ხალხის მოზღვავება არის ხელოვნურად შექმნილი დაშნაკცაკანებისაგან. მათ წინათვე შეადგინეს ვითომ და ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტი. ეს მაშინ, როცა ერთი ლტოლვილიც არ იყო თელავში. მათ ორგანიზაციულად მოაწყვეს სომხის ხალხის შემოსევა კახეთში. სახელით ლტოლვილები არიან და ნამდვილად კი, ათში სამი თუ ურევია ლტოლვილი, დანარჩენი სხვა და სხვა ჯურის სპეკულიანტები არიან, რომელნიც მოედვნენ სოფლებს და პურის ფასი ეხლავე 300 მან. ასწიეს. დაშნაკცაკანების მცდელობით მოსული ხალხი ცდილობს მთელი კახეთის სარჩოს ხელში ჩაგდებას და კახეთის მცხოვრებლების სიმშილის პირში მიცემას. ერთი და იგივე პირი იჭერს სამ-ოთხ ალაგას სახლებს და როცა უგებენ, თავმოკატუნებით ამბობენ—ბიძასთვის ან ძამიდასთვის გვინდოდაო. ასე ხელოვნურად ერეკებიან დაშნაკცაკანები, ალბათ, თავიანთი დამქაშებს, რომელთაც ლტოლვილებს ეძახიან. ორ კვირაში 800 სულამდე ამოყო თავი თელავში, უმეტესობა მოედო სოფელს და ათასნაირ პროვოკაციას ეწევიან: „მთავრობამ გვიღალატა, გაგვყიდა, მოღალატეები არიან და ბოლშევიკებს უნდა მივეხმაროთო.

ამ დღეებში დაიჭირეს ერთი სომეხი, რომელიც ბოლშევიკების პროკლამაციას არიგებდა. დაშნაკელები ბოლშევიკების ქურქში ეხვევიან და ამით ჰგონიათ დიდ სამსახურს უწევენ თავიანთ ერს. პროვინციაში საშიშია მათი ეხლა სარბიელი და ამას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. საჭიროა თვითონ სომხის შეგნებულმა დემოკრატებმა მიაქციონ ყურადღება და შეებრძოლონ დაშნაკელების ვერაგ პოლიტიკას, რომელმაც გაანადგურა ოსმალეთში სომხის ხალხი და ეხლა ზოვიხიზნის ქადაგებამ ცეცხლსა და მახვილს მისცა სომხის უდანაშაულო ხალხი, რომელიც ეხლა უგზოუკვლოდ დადის. დაშნაკელები უნდა გონს მოვიდნენ, რას სჩადიან, თორემ „აღვრეული წყალი“ მათ დაახრჩობს.

## მთავრობაში

ივლისის 16-ს სხდომაზე, მთავრობამ არ დააკმაყოფილა რუსთა ეროვ. საბჭოს შუამდგომლობა რომ მის განკარგულებაში ფული გადაეცათ.

—

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენების თანახმად, სპეკულიაციასთან ბრძოლის შესახებ, მთავრობამ დაადგინა შინაგან საქმეთა მინისტრს მიეცეს სესხი 2 მილიონი მანეთის ფონდიდან, რომელიც ანარქიასთან საბრძოლველად არის დანიშნული.

—

საქართველოს მთავრობის საქმეების მწარმოებლის მოხსენების თანახმად, რესპუბლიკის დაწესებულებებში სამუშაო დროის დანიშვნის შესახებ, დადგენილ იქმნა მუშაობა 9 საათიდან 3-მდე სწარმოებდეს.

—

ფინანსთა მინისტრის მოხსენებით საგერბო გადასახადის შესახებ, მთავრობამ დაადგინა განაახლოს გადასახადი.

—

შრომის მინისტრის მოხსენებით, მთავრობამ დაადგინა ქარხნის ინსპექციის გაუქმება და მის ფუნქციების შრომის სამინისტროსათვის გადაცემა.

—

ადერბეიჯანის მთავრობის შუამდგომლობა, რომ მას გადაეცეს ამიერ-კავკასიის (გორის) მასწავლებელთა სემინარია მთელი ქონებით, დააკმაყოფილეს.

—

ჯულფა-ბაქოს რკინის გზის მოსამსახურეების (ორდუბათში) დაკმაყოფილების შესახებ, მთავრობამ გაიზიარა შრომის მინისტრის აზრი, რომ მოსამსახურეები ორდუბათიდან უნდა წამოყვანილ იქმნან. რაც შეეხება მათ დაკმაყოფილებას ეს გადაეცეს სალიკვიდაციო კომისიას განსახილველად.

## უცხოეთი

**სამხედრო კრედიტი და ვილჰელმი.**

ბერლინი. ივლისის 15. იმპერატორმა ვილჰელმმა დეპეშით აცნობა სახელმწიფო ხაზინის სტატს-სეკრეტარს, დიდი სიხარული მომგვარა რეიხსტაგის მიერ სამხედრო კრედიტის მიღებამო, „გმადლობთ ნაყოფიერ და სასარგებლო მუშაობისათვის. ჯარი ამაში იმის საბუთს დაინახავს, რომ სამშობლო მას მხარს უჭერს და მისი მუშაობაც ხალხის ნებაზეა დამყარებული და ბრწყინვალე ლომაილზე. გერმანია მუდამ უძლეველი იქნება, თუ ის თავისი ძალების რწმენას არ დაჰკარგავს და ღმერთის დახმარების იმედი ექნება“.

**რუსეთის მოკავშირეები მურმანზე.**

მოსკოვი. ივლისის 15, მურმანის სანაპიროთი მყოფ მოკავშირეთა ჯარის მთავარსარდალმა პროკლამაციები გამოუშვა, რომელშიც აღნიშნავს, რომ ის იცავს შეთანხმების სახელმწიფოთა საკუთრებას ფინებისა და გერმანელებისაგან. იგი მოუწოდებს ხალხს დახმარებისათვის. მურმანის სანაპირო საბჭოთა რესპუბლიკას ეკუთვნის, ხოლო მას სამთა შეთანხმება იცავს.

**ჩეხების თვითგამორკვევა.**

ვენა. ივლისის 15. ჩეხთა ეროვნულმა კომიტეტმა დაადგინა მოუწოდოს ჩეხებსა და სლოვაკებს მოითხოვონ თვითგამორკვევის უფლებები, რომ შექმნას ჩეხ-სლოვაკების სახელმწიფო, რომელიც თავისუფალი იქნება გარეშე გავლენისაგან.

**ჩეხები ციმბირში.**

მოსკოვი. ივლისის 15. ჩელიაბინსკსა და ომსკს შუა ჩეხები ბატონობენ.

**ნორვეგიაში.**

მოსკოვი. ივლისის 15 ნორვეგიის ოფიციალური პრესა ამოწმებს რეინ-ტცეს გადადგომას და აღნიშნავს, რომ მან შეიგნო და გაიგო ნორვეგიის მდგომარეობა, ანგარიშს უწევდა სხვების აზრებს და საქმეებსაც სახელმწიფოებრივის თვალსაზრისით უყურებდა.

**აჯანყება პეტროგრადში.**

მოსკოვი. ივლისის 15 სოციალისტ-რევოლიუციონერთა აჯანყება პეტროგრადში ჩააქრეს. არტილერიის ცეცხლითაა დაზიანებული ზოგიერთი შენობა.

## ეროვნული საბჭო

**ივლისის 16 სხდომა.**

**თავმჯდომარეობს ნ. ჩხეიძე.**

მდივანი კითხულობს დღიურ წესრიგს.

რ. არსენიძე კითხულობს სარედაქციო შესწორებებს წინა სხდომებზე მიღებული კანონებისას, რომელიც მიღებულ იქნა.

დ. ონიაშვილი. საჭიროა რომ საინგილოს ამბებს მთავრობამ გადაჭრილი პასუხი გასცეს და უნდა სათანადო ზომები მიიღოს ზაქათ. ოლქის გასაწმენდათ; ეს არის აზრი ჩვენი ს. დ. ფრაქციისა, ამასთანავე უნდა შეიქმნას საადმინისტრაციო აპარატი ზაქათალის ოლქში.

დ. ჩიქოვანი ზაქ. ოლქში 85 ათასი მცხოვრებია. აქედან 25 ათასი ინგილოა. 7 ათასი ქრისტიანი. ზაქათალის ოლქში მრავალი ორიენტაციაა. ზაქათალს დამოუკიდებელი არსებობა არ შეუძლია. საკმარისია ჩვენის მხრივ მცირეოდენი ძალდატანება, რომ იგი ჩვენი იყოს. დიდი ანტაგონიზმია ქიზიყსა და ზაქათალის ოლქს შორის. წინადადება შემოაქვს საბჭომ აირჩიოს კომისია იქ გასამგზავრებლად და საქმის გამოსარკვევად.

ს მდივანი. დ. ჩიქოვანის ციფრები სწორი არ არის. ზაქ. ოლქში 60 ათასი მცხოვრებია. აქ 30 ათასი ინგილოა. ოსმალოს ავტორიტეტი დამყარებულია რელიგიურ ფანატიზმზე. ჩვენ თვალწინ იშლება სურათი შინაურ არეულობისა ბათომის ოლქში მცხოვრებლები უკვე ტყეში იხიზნებიან. საუკუნეების განმავლობაში ზაქათალა შეკავშირებულია იყო საქართველოსთან და ამას ოსმალეთი ვერ გადალახავს. უნდა აღვნიშნო სამწუხარო ფაქტი: ზაქ. ოლქ. მთავრობა არსებობს. გამოსწორება შეიძლება იმ გზით, რა გზაც გვიჩვენა ს. დ. ფრაქციის წარმომადგენელმა. დაყოვნება საზიანოა. ზაქ. ოლქის საკითხი დაკავშირებულია სხვა ჩვენ კუთხეების საკითხებთან.

რ. ივანიცკი. ქართველ საზოგადოებას ზაქ. ოლქზე წარმოდგენა აქვს მხოლოდ „ბუნების კარიდან“ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას არავინ აქცევს ყურადღებას. მთავრობამ წინად აღკვეთქვა ბორჩალოს მაზრის გაწმენდის შემდეგ ჯარის გაგზავნა ზაქათ. ოლქში. ხდება ძალმომრეობა საქართველოს ტერიტორიაზე მას ბოლო უნდა მოეღოს. კმაყოფილებას ვგრძნობ ს.-დ—ბის ფრაქციის გადაწყვეტილების გამო. დელეგაციით და ლაპარაკით ვერაფერს გავაკეთებთ, ხიანს მოგვიტანს ს. მდივანმა სამართლიანად აღნიშნა ეკონომიური ურთიერთობასაც რომ აქვს მნიშვნელობა. უმრავლესობა ოლქში ლეკობაა, რომელიც დღეს მთიულებს ეყუდება, მაგრამ მალე გაიგებენ, რომ უჩვენოდ მათ არ შეუძლიათ ყოფნა.

ნ. რამიშვილი. ზაქ. ოლქის საკითხი მარტო შინაური საკითხი არ ზაქ. ოლქი, საგარეო საკითხია, შესაძლებელი უფრო დიდ მტერთან გვქონდეს საქმე: დარწმუნებული ბძანდებოდეთ, მთავრობა ყოველთვის იღონებს საქართველოს ტერიტორია დაცულ იქნეს. საინგილოს ვთვლით საქართველო ტერიტორიის ნაწილად. (ტაში).

მიიღეს ს.-დ. რეზოლიუცია კმაყოფილია ეროვნ. საბჭოს მთავრობის განმარ

ხტებით და გადადის მორიგ საკითებზე.

შემკითხველი დ. ჩიქოვანი (რადიკალ-დემოკრატი) სომეხთა შემოსევამ მასიური ხასიათი მიიღო. ნორჩი საქართველო ცუდს მდგომარეობაში ჩავარდა, ეკონომიურად და ფიზიკურად საქართველოში მწვავე მდგომარეობა შექმნეს. სომეხი ლტოლვილები მოედვნენ მთელს საქართველოს. გააწვავეს სასურსათო და ბინის საკითხები, სასანიტარო საქმეც გამწვავდა, ლტოლვილები არა ლოიალური ელემენტია. ვეკითხები მთავრობას, რა ზომები მიიღო მან ამათგან განსათავისუფლებლად.

ნ. რამიშვილი. დემოკრატია ვალდებულია რამდენიმედ შეღავათი აღმოუჩინოს ლტოლვილებს. გურია და მთიულეთი დამშეულია, ახლად მოსული ხალხი მდგომარეობს ამწვავებს. ლტოლვილთა რაოდენობა ამიერკავკასიაში 1/2 მლ. საქართველოში 100,000-მდეა ქ. ტფილისში—30000 რამდენიმეჯერ ჩვენ ოსმალეთის მთავრობასთან ლტოლვილების უკან დასაბრუნებლად ძლვძარით შუამდგომლობა. ოსმალეთი კატეგორიულად წინააღმდეგია. მიღებულია ზომები ლტოლვილები ორი გზით გაიგზავნოს ჩრდილოეთისაკენ. სწრაფად ვერ დავაბინავებთ მათ. ყოველ შემთხვევაში მთავრობა ყველივეს ღონებს ამ საფრთხის თავიდან უმტკივნეულოდ ასაცილებლად.

შ. მიქელაძე. ლტოლვილთა საკითხი ორად გაიყოფება, ერთი ლტოლვილები რომლებიც აქ უკვე შემოიხიზნენ და მეორე რომლებიც—მოდიან. მე ვფიქრობ რომ მთავრობის ცნობა ლტოლვილთა რიცხვზე ნაკლებია. თუ თითო ლტოლვილს 2 მან. მივეცით, მაშინ დღიურად 200 ათასი დასჭირდება.

სანიტარიის მხრივ დიდსაფრთხეს წარმოადგენენ ლტოლვილნი. ვიზიარებ მთავრობის შეხედულებას [illegible] თითოს მთავრობამ სომეხთა ეროვნულ საბჭოებს აღარ გამოუშვან ლტოლვილები. [illegible] ავუხსნათ ეს მდგომარეობა.

მ. მაჩაბელი. აღნიშნავს დიდ მნიშვნელობას ლტოლვილთა დახმარე [illegible] საზოგადოებისას, [illegible] სახელმწიფო მატერებლებით და სანიტარიით გაიყვანოს იგი. [illegible] საზოგადოება და დაემორჩილოს იგი სამინისტროს, დაარსდეს [illegible] სამინისტრო.

ახმეტელი. სამწუხაროდ მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია ჩვენს შეკითხვას.

დაზიანებული და სოფლები საქართველოს დემოკრატ. რესპუბ. წინააღმდეგ მოქმედებენო.

რუხია (ს.-დ.) თვისი ვრცელი სიტყვა ახმეტელთან კამათს მოანდომა. ქართველმა დემოკრატიამ შეასრულა თვისი მოვალეობა სომეხი ლტოლვილები ფიზიკურად გადაარჩინა—დაღუპვასაო.

მიიღეს ს.-დ. ფრაქციის რეზოლიუცია მთავრობის განმარტებით კმაყოფილნი ვართო.

სხდომა გათავდა საღ. 4 საათზე.

## ომის დეპეშები

### დასავლეთის ფრონტი.

ბერლინი, ივლისის 16. საომარი ცნობა.

კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი: ზოგიერთ სექტორში შეტაკებებია, ეისტეს აღმოსავლეთით იერიში მოვიგერიეთ. აქ დაშით ადგილობრივ ბრძოლა გაჩაღდა.

გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი: ენსა და მარნას შუა და შატო ტიერის აღმოსავლეთით საარტილერიო ბრძოლა გაცხოველდა, მარნას იქითა მხარეს, ჟიულ-ბოეს სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენ მტრის თხრილებში შევიჭერით და რამდენიმე კაცი დავატყვევეთ. რეიმსის სამხრეთ-დასავლეთით და აღმოსავლეთით გუშინ ფრანგების პოზიციებში შევიჭერით, საარტილერიო ბრძოლაში მიხმარებულ იქმნა სპეციალური ტეხნიკური ნაწილები, ნაღმის სწორებლები, გაზის შფანტველები და ჯავშნიანი ავტომობილები, რომელნიც გზას უკაფავდნენ ქვეითა ჯარს მტრის ბანაკისაკენ. გენერალ ბომეს ლაშქარმა მარნა გადალახა ჟიულ ბონესა და დორმანსის აღმ. ნაწილს შუა. საპიორებმაც გადალახეს დილით ადრე მდინარე და ამით შეამზადეს დღევანდელი გამარჯვება. ქვეითა ჯარმა იერიშით აიღო მაღალი მთები მარნას სამხრეთ ნაპირით. ბრძოლით შევიჭერით მტრის ხაზებში და გავრეკეთ მტერი მის საზურგო პოზიციებისაკენ კონდე-ლა-შონელ-კომბლედი-მარეილის ხაზით. აგრეთვე მარნას აღმოსავლეთით ჩამოვართვით ფრანგებსა და იტალიელებს მათი მოწინავე პოზიციები არო დესსა და მარხას შუა. საღამოს ბრძოლა გვქონდა შატილონ-კუტრიშომიზის ხაზის აღმოსავლეთით. გენერალ მუდრისა და ფონ-აინემის ჯარმა იერიში მოიტანეს ფრონტზე შამპანის რაიონში (რეიმსის აღმოსავლეთით), პრუნეიდან ტაგიურამდე და ფრანგების მოწინავე პოზიციები დაიპყრეს. მარნა-ფარვილერის ჩრდილოეთით ჩვენ ავედით კორ ნილიე-გოსბერგ-ტელბერგისა და პოილბერგის მაღლობზე. გავიარეთ შარშანდელ გაზაფხულის ბრძოლის ველი და რომარის გზატკეცილს მივაღწიეთ პრონნეს ჩრდილო-დასავლეთით და ფიხტელის მთების ბანაკს. მდინარე სიუიპის აღმოსავლეთით ჩვენ წავართვით მტერს შამპანის ბრძოლის ველის ნაწილები ოპერივესა და ტაგიურის სამხრეთ აღმ. შუა ჩვენს ფრონტზე, სადაც შეტევას ვაწარმოებთ, რეიმსის აღმოსავლეთით მტერს ჯერ კიდევ დაცული აქვს თავისი მეორე პოზიციები პრონე-სუეს ჩრდილოეთით.

საჰაერო ბრძოლა. თუმც ნისლი და ძლიერი ქარი იყო, მაგრამ ჩვენი მფრინავები მაინც ენერგიულად მოქმედებენ: ყუმბარებსა და ტყვიისმფრქვეველებს უშენდნენ მტრის ქვეითა ჯარს. ჩვენმა მფრინავებმა გუშინ მარტის 31 ჰაეროპლანი და 4 საჰაერო ბოლონი ჩამოაგდეს.

დღემდე დატყვევებულთა რიცხვი 13000 კაცს აღემატება.

ჰერცოგ ალბერტის ლაშქარი. ლორენში, ვოგეზებში და ზუნდგაუში ჩვენ რამდენიმე ტყვე წამოვიყვანეთ.

ბერლინი. ივლისის 6. საღამოს ცნობა, მარნას ფრონტზე მტერს ძლიერი კონტრ-იერიშები მოაქვს. რეიმსის დასავლეთით ჩვენი ჯარი ადგილობრივ ბრძოლებში იმარჯვებს. რეიმსის აღმოსავლეთით მდგომარეობა უცვლელია.

### პალესტინის ფრონტი.

სტამბოლი. ივლისის 16. ზღვის სანაპიროთი არტილერია ენერგიულად ესროდა მტრის ჯარს. იორდანეს ორსავე ნაპირას მტრის მზვერავები სცდილობდნენ ჩვენი პოზიციებისკენ მოახლოვებას, მაგრამ იგინი გავრეკეთ. სხვა ფრონტზე საგულისხმო არაფერი მომხდარა.

## დებულება

### საქართვ. დემოკრატიულ რესპუბლიკის მოქალაქეობისა. (ქვეშევრდომობისა).

1. ყოველი მკვიდრი, მცხოვრები საქართველოს რესპუბლიკის, არის საქართველოს მოქალაქე.

შენიშვნა: მკვიდრი ეწოდება იმას, ვინც მიწერილია რესპუბლიკის ტერიტორიის რომელსამე ადმინისტრატიულ ერთეულზე 1914 წლის ივლისის 19-მდე (ძვ. სტ.).

2. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს არ შეუძლია იყოს იმავე დროს მოქალაქედ სხვა სახელმწიფოსი.

3. საქართველოს რესპუბლიკაში მხოლოდ მისი მოქალაქენი არიან აღჭურვილნი პოლიტიკურის უფლებით. (აქტიური და პასიური უფლება პარლამენტისა და ადგილობრივ თვითმართველობის არჩევნებისათვის და სხვა).

შენიშვნა: მთავრობას უფლება აქვს განსაკუთრებულ შემთხვევაში დროებით, სანამ დაწესებულებათა გარდაქმნა დამთავრდებოდეს, მოიწვიოს თანამდებობაზე უცხო ქვეყნის მოქალაქე.

4. პირობა უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომის მიღებისა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ და აგრეთვე საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისა განსაზღვრული იქნება ცალკე კანონით. 1918 წ. ივლისის 16.

## კანონები.

### საშუალო სკოლის ქართველ მასწავლებელთა საზაფხულო კურსებისა.

1. ამა წლის ივლისის, აგვისტოს და სექტემბრის განმავლობაში დაარსდეს ქ. ტფილისში ორის თვით კურსები ქართულ საშუალო სკოლის მასწავლებელთათვის.

2. კურსების მოსაწყობად ხაზინიდან გაღებულ იქნეს ას ორმოცდაათი ათასი მან. (150 000 მ.)

1918 წლის ივლისის 16.

—

### სახალხო სკოლებისათვის მასწავლებელთა მოსამზადებელ კურსებისა.

1. ამ წლის ზაფხულის თვეების განმავლობაში გაიმართოს სამი თვის ვადით კურსები პირველ დაწყებითი სკოლებისათვის მასწავლებელთა მოსამზადებლად.

2. დაევალოს განათლების მინისტრს შემუშავება სასწავლო გეგმისა და პროგრამების, აღნიშვნა კურსების მოსაწყობი ადგილებისა, მოწვევა კურსების გამგეთა და მასწავლებელთა, შემუშავება წესისა. რომლის თანახმადაც უნდა მიღებულ იქმნენ კურსების მსმენელნი და მიეცეს მათ მასწავლებლის უფლება.

3. კურსების მოსაწყობად და შესანახად გადადებულ იქნას სახელმწიფო ხაზინიდან 252.500 მან. თანახმად ამ კანონთან დართულ ხარჯთაღრიცხვისა.

1918 წ. ივლისის 16.

—

### გზათა სამინისტროს საავტომობილო განყოფილებისა.

1. დაარსდეს გზათა სამინისტროსთან მიმოსვლისა და ტრანსპორტის მოსაწესრიგებლად საავტომობილო განყოფილება,

2. გადაეცეს ამ განყოფილებას ყველა საავტომობილო სახელოსნო, ავტომობილი, საწყობი, მასალა და სხვა ავტო-სატრანსპორტო საშუალება, რომელიც იყო რუსეთის ფრონტის სამხედრო და საზოგადოებრივ—სამხედრო დაწესებულებათა განკარგულებაში.

3. მიეცეს ამ საქმისთვის გზათა მინისტრს სახელმწიფოს ხაზინიდან სალიკვიდაციო და მიმდინარე საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ას ორმოცდა ათი ათასი (150.000) მანეთი ავანსად.

1918 წ. ივლისის 16.

## ახალი ამბავი

✦ ოსმალების წინსვლა ბაქოსკენ. განჯიდან მიღებული ცნობებით ბაქოსკენ სამხრეთით მიმავალმა ოსმალთა მეოთხე რაზმმა დაღუპა ბოლშევიკების ორი გემი: რაზმი გადავიდა მტკვრის მარცხენა ნაპირას სალიანის მახლობლად, დაიკავა უკანასკნელი და ჩრდილოეთით გაემგზავრა ალიატის მიმართულებით. მთავარი მიმართულების, რკინის გზის ხაზით, აჯიკაბულის მახლობლად გუშინ დილით ბრძოლა იყო. ბაქოს ჯარმა ბალაჯარისკენ დაიხია.

✦ ლტოლვილები ფოთში. 5000-მდე ლტოლვილია დაგროვილი განსაკუთრებით რუსი და ბერძენი. ლტოლვილები დიდ გაჭირვებაში არიან. გემები, ფოთი და ოდესაში რომ გადის, ტუაფსეში არ შედის, რადგან იქ ბოლშევიკები ბატონობენ.

✦ ხოლერა. უკანასკნელ დღეებში ქალაქის საავადმყოფოში 11 ხოლერიანი და 14 საეჭვო ავადმყოფი მოიყვანეს. ამას გარდა ხოლერიანთა განყოფილებაში გადაიყვანეს 5 საეჭვო ავადმყოფი. ხოლერით გარდაიცვალა 16 და ორიც საეჭვო ავადმყოფი. მორჩა 2. ივლისის 16-ს სულ იყო 144 ხოლერიანი და 25 საეჭვო ავადმყოფი.

✦ გუშინ მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას წარუდგა კავ. სამედიც. საზოგადოების დელეგაცია და მოახსენა საქართველოს მთავრობას თუ რა საშიშ ხასიათს ღებულობს ხოლერა ტფილისში. ამასთანავე დელეგაციამ მოხსენება წარუდგინა მთავრობას ხოლერის საწინააღმდეგო ზომების შესახებ.

✦ სიღნაღის მაზრის თავდაცვის კომიტეტის დადგენილება. სიღნაღის სამაზრო კომიტეტმა იქონია რა მსჯელობა თავის სხდომაზე, ამა წლის ივლისის 6-ს, სიღნაღსა და მის მაზრაში ლტოლვილთა შემოხიზვნის შესახებ, დაადგინა: „ვინაიდან ლტოლვილების უსაზღვრო შემოხიზვნამ მეტად გააძვირა სურსათისა და ბინის კრიზისი და ამავე დროს, [illegible] ჩააგდო მაზრა [illegible], რასაც შეიძლება მოჰყვეს [illegible] და სხვა გადამდები სენი, ამისათვის თავდაცვის კომიტეტი წინადადებას აძლევს ლტოლვილებს არც სიღნაღში შემოვიდნენ და არც მის მაზრაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი ლტოლვილები ძალით იქნებიან დაბრუნებულნი უკან“.

✦ სათბობი მასალა. ტეხნიკურმა კომისიამ, რომელმაც ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები დაათვალიერა, შესაძლებლად სცნო გააძლიერონ მაღაროებში მუშაობა ისე, რომ დღეში 40 ათასი ფუთ ნახშირის დამუშავება შეიძლება, რაც სავსებით დააკმაყოფილებს რესპუბლიკის გზების საჭიროებათ.

✦ სპეციალურმა კომისიამ გამოარკვია, რომ სათბობი სითხე რკ. გზებს მხოლოდ 22 დღით ეყოფა. ამის გამო ორთქლმავალებს საჩქაროდ მოაწყობენ ქვა ნახშირით გათბობისათვის.

✦ პირველ აგვისტოდან ელექტრონის ენერგია აღარ მიეცემა თეატრებს, კლუბებს, ცირკებს, კინემატოგრაფებს და სხვ., გარდა ქალაქის ბაღებისას.

✦ კონსერვატორიის დირექტორი. თანახმად ტფილისის კონსერვატორიის პროფესორთა კოლეგიის დადგენილებისა, კონსერვატორიის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებლად სწავლა-განათლების სამინისტრომ დაამტკიცა ზაქ. პ. ფალიაშვილი.

✦ საგუბერნიო კომისია კ. ჯაფარიძე თანამდებობას თავს ანებებს. მის მაგივრად ნიშნავენ ახალციხის ყოფილ კომისარს მაღლაკელიძეს.

✦ კლუბების წარმომადგენელთა კრება. ივლისის 19-ს, შესდგა კლუბების წარმომადგენელთა კრება, კლუბების 11 საათზე დახურვის გამო, კრებამ დაადგინა ქალაქის თვითმართველობის დადგენილება გადასცეს საოლქო სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილებას.

✦ ტფილისის დამცველმა შტაბმა შეიპყრო: რადგანაც თავის თავს კომისარის თანაშემწეს უწოდებდა—პორუჩიკი ი. მარკოვი. ყალბი დოკუმენტით ფულის მიღებისათვის კაპიტანი პ. პოკროვსკი. ხორცის მოპარვისათვის ჯარის-კაცი ივ. ჩემურიშვილი ბრძანების შეუსრულებლობისათვის ჯ.-კ. ს. მაღლაკელიძე.

✦ ტფილისის დამცველმა შტაბმა შტაბის ლიკვიდაციის გამო გუშინ თავის საქმეები გარნიზონის უფროსს ჩააბარა.

# აგრარული საკითხი საქართველოში

პირველი ნაწილი

## I

### წინასიტყვაობა.

საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. ამიერიდან—რანაირი ცვლილებაც არ უნდა მოხდეს ქვეყნის პოლიტიკურ მართვა-გამგეობაში—კანონმდებლობა, სამართალი და ადმინისტრაცია უნდა დაემყაროს იმ ტერიტორიას, რომელსაც საქართველო ეწოდება. ეს სახელმწიფოებრივი ცვლილება დიდი მოვლენაა ჩვენი ხალხისათვის. მრავალი საკითხი სწორსა და ბუნებრივს ნიადაგზეა დაყენებული. ხელოვნურად დახლართული კვანძები გახსნილია, ეროვნული წყობილება გაწმენდილია, ჩამოშორებულია სხვა უცხო ერის ზნე ჩვეულებანი, კანონები, წესები, მუშაობის ფორმები და საკანონმდებლო ორგანოს წინაშე წამოყენებულია ინტერესები მხოლოდ საქართველოსი და ქართველ ერისა.

ასეთ პირობებშია აგრარული საკითხიც. პრობლემა მიწისმფლობელობის და მიწის სარგებლობის—ყველაზე დიდი, ყველაზე რთული პრობლემაა ჩვენი ქვეყნისათვის. მიწაა ჩვენი სიმდიდრის წყარო, იგია ჩვენი რეწვის, სასოფლო მეურნეობის, ვაჭრობის და კულტურის ძირი. კარგად გადავწყვეტთ აგრარულ საკითხს—ჩვენი მომავალიც განმტკიცდება, შეცდომებით დავიღუპებით, ეკონომიურ ცხოვრებას დავარღვევთ.

ჩვენ ასე სერიოზულად ვუყურებთ ამ საქმეს. არც პარტიის, არც სექციის, არც რომელიმე ჯგუფის ვიწრო ინტერესების მიხედვით აგრარული საკითხი არ უნდა გადაიჭრეს. აქაც ჩვენი პოზიცია უეჭველად უნდა იყოს წმინდა ეროვნული პოზიცია. ეროვნულ განვითარებისათვის ერის უმრავლესობის კულტურული მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს; აშკარაა აგრარული რეფორმა უნდა იყოს კულტურული და ხალხოსნური, ფართო დემოკრატიული.

ბევრი ამ ჟამად აგრარულ რეფორმას უკავშირებს ფისკალურ ინტერესს; ხაზინას სჭირიან ფულის დაგროვება და მიწისმფლობელობაც ამ საჭიროებით უნდა შემოიფარგლოს. როგორც ვიწრო საზოგადოებრივ ჯგუფის თვალსაზრისით ვერ გადავწყვეტთ აგრარულ საკითხს, ისევე ფისკალურ ინტერესებს ვერ დავუდებთ სარჩულად ჩვენი ცხოვრების მთელ წყობილებას, ვინაიდან ხაზინის ინტერესიც შეუძლებელია მხოლოდ მომენტის, დღის შემოსვლის მიხედვით განვსაზღვროთ, რადგანაც გონივრულად განხორციელებული აგრარული რეფორმა გამოიწვევს ხალხის ფართო მასსის მწარმოებელ ენერგიის გაცხოველებას და მაშასადამე ფისკალური ინტერესების სერიოზულად დაკმაყოფილებასაც.

აგრარული წყობილება და რეფორმა არის მთავარი, მაგრამ ერთი შემადგენელი ნაწილი იმ ცვლილებათა, რომელთაც განხორციელებით ახალი სახე უნდა შეიძინოს ჩვენს ცხოვრებამ.

რა საფუძველი და მოსაზრება უნდა მივიღოთ სახელმძღვანელოდ, რომ ჩვენს [illegible] ადგილი არ დაიჭიროს პიროვნულმა, კერძო [illegible], ე. ი. მთელი საკითხი განხილულ შესწავლილ იქნეს როგორც არის სინამდვილეში და როგორადაც ხდება მისი განვითარება.

ჩვენ ვსთქვით: ვხელმძღვანელობდით დემოკრატიულ ეროვნულ მოსაზრებით. მაგრამ ეროვნული მოტივი არ ნიშნავს სრულს გათიშვას და დავიწყებას საერთო მოტივებისას. აგრარულ კონსტიტუციას თავისი გზა აქვს, იგივე უხლოვდება სხვა მხარის კულტურულ-აგრარულ კონსტიტუციას, როგორც ერთი სახელმწიფოს კონსტიტუცია მეორე სახელმწიფო კონსტიტუციას. ჩვენს ქვეყანას აქვს მრავალი საკუთარი ინტერესი. ამ ინტერესებს ჩვენ ვფარავთ მიწის მუშაობით, მაგრამ მიწის მუშაობის გეგმა, წესი, ნაყოფიერობა, ღირებულება დამოკიდებულია არა საქართველოს საშინაო ბაზარზე კი არა, საერთაშორისო ბაზარზედაც. ეხლაც ვყიდით უცხოეთში სხვა და სხვა საქონელს, შემდეგ კიდევ მეტს გავყიდით და ამისათვის ისევე უნდა გამოვიყენოთ კულტურული საშუალებანი, როგორც სხვა მხარე იყენებს. ამიტომ ჩვენ ზედმიწევნით სწორი წარმოდგენა უნდა გვქონდეს საზოგადოდ აგრარულ ევოლიუციის, საით მიდის სოფლის ეკონომიკის განვითარება, რა ხასიათს იღებს აგრარული კონსტიტუცია და შემდეგ საკუთარ ცხოვრებას ჩავაკვირდეთ: რას გვეუბნება ჩვენი ხალხის და ცხოვრების სინამდვილე.

საკითხის შესწავლის ასეთი წესი განსაკუთრებით ცხადილია გერმანიაში ისტორიულ სკოლის მიერ. ისტორიკოსები ისტორიოგრაფიას ყოველთვის წინ უყენებენ ფილოსოფიას, სოციოლოგიას, ისტორიოსოფიას. ამ წესს ჩვენ ვერ უარვყოფთ. მეცნიერული წარმოდგენა უნდა გვქონდეს აგრარულ წყობილების ევოლიუციის, რათა ამ ევოლიუციას დავუკავშიროთ ჩვენი ცხოვრების წესები.

საქართველოში უნდა გატარდეს არა ის, რაც ჰსურს ამა თუ იმ საზოგადოებრივ ჯგუფს, არამედ რაც შეეფერება ცხოვრების საერთო მიმდინარეობას.

ევოლიუციის და პროგრესის ამ პრინციპზე ვდგევართ ამ ჟამად. ეს პოზიცია არის პოზიცია დინამიური, დემოკრატიული და საქართველოს დემოკრატიას ეძლევა ერთხელ გამოკვეთილ გზას სტკიცედ დადგეს და ფორმულებიდან გადავიდეს პრაქტიკაზე. აგრარული კონსტიტუცია არა თუ უნდა შემუშავდეს მხოლოდ, საჭიროა მისი საჩქაროდ განხორციელებაც.

ერთი შენიშვნა კიდევ. დოქტრინას დიდ პატივსა ვცემთ, მაგრამ დოქტრინიორობას დოგმატიურად ვერ დავემორჩილებით. ჩვენს ცხოვრებას კრიტიკულად, ფრთხილად უნდა მოვეპყროთ. ვერ დავტოვებთ ყურადღების გარეშე ვერც ხალხის კოლექტიურ ფსიქოლოგიას, ვერც ადათს, ვერც ხასიათს. ყოველი მომენტი და ფაქტორი საჭიროა გამოვიყენოთ, მხედველობაში მივიღოთ და გონებაში წარმოდგენილი გეგმა რეფორმისა სინამდვილეს დაუახლოვოთ კორექტივებით, შესწორებების დართვის მიხედვით. ევოლიუცია, თან და თანობა, გარდამავალ ფორმების შემოღება ხელს უნდა გვიწყობდეს რაც შეიძლება ხალხის ტკივილებით შევეგუოთ ახალს, რაც შეიძლება ადვილად მოვშორდეთ ძველს, ეს იქნება ჩვენი საერთო მიზანიც.

ასეთ გეგმიდან გამომდინარეობს ხასიათიც ჩვენი ნაშრომისა. ვეწყებთ აგრარულ თეორიით პირველ ნაწილში, ვახასიათებთ აგრარულ პოლიტიკა-პრაქტიკას საზოგადოდ მეორე ნაწილში, ხოლო მესამე ნაწილში გავაშუქებთ [illegible] საქართველოს თანამედროვე აგრარულ-ეკონომიურ მდგომარეობას აგრარულ რეფორმის კონტურების წარმოსადგენად.

1895 წელს, ოქტომბრის 6 გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ყრილობა მოხდა ქ. ბრესლავლში. ეს დატა და ყრილობა აგრარულ საკითხის თეორიულ და პრაქტიკულ ისტორიისათვის შესანიშნავია. 1895 წელშივე მოხდა გერმანიაში სასოფლო-სამეურნეო აღწერა, რომლითაც საბოლოოდ გამჟღავნდა 1882 წლის ცნობები სოფლის მეურნეობის და მიწის საკუთრების შესახებ. ამავე წელს უძლიერესმა სოციალისტურმა პარტიამ პარტეიტაგზე [illegible] ნაბიჯი გადადგა წინ აგრარულ საკითხის შესწავლისთვის და თვით კრებაზედაც აგრარულ საკითხს ფრიად საპატიო ადგილი დაუთმო. საერთოდ კი პარტეიტაგმა ერთხმად აღიარა, რომ სოფლის მეურნეობის ევოლიუცია განსხვავდება ინდუსტრიალურ კაპიტალიზმის ევოლიუციისაგან. მის ფორმებისაგან და ამიტომ სოფლის კულტურის და საზოგადოდ აგრარული პრობლემის ყოველი მხარე უნდა შესწავლილ იქნეს სპეციფიზმის თვალსაზრისით.

კარლოს კაუცკი „აგრარულ საკითხში“ პარტეიტაგის ამ დებულებას სავსებით იზიარებს, ეს დებულება უკვე ტრუიზმად არის თითქოს გარდაქცეული, მაგრამ თქვენ უნდა წარმოიდგინოთ რამდენადმე საკვირველი ამბავი: ამ ძირითად დებულებისა და თვალსაზრისს მარქსისტულ სკოლის მრავალი წარმომადგენელი და თვით კარლოს კაუცკიც არა თუ არ იყენებს და ავითარებს სავსებით, პირნათლად, არამედ მთელ თავიანთ გონებრივ შემოქმედებით ცდილობენ მის შევიწროებას, ჩაღხობას, რომ სრული იგივეობა ინდუსტრიალურ და აგრარულ კაპიტალიზმის ევოლიუციისა ნათელყონ და დაამტკიცონ.

რუსეთში ამგვარს ადგა დღემდე ულიანოვ-ლენინი, რამდენადმე მასლოვი, ლიაშჩენკო და სხვანი. საქართველოში, სადაც გონებრივი კულტურა ჯერ კიდევ პირველყოფილ მდგომარეობას არ გასცილებია, სადაც აგრარულ დარგში თითქმის არავითარი ნაშრომი არ მოიპოება, თითქმის ყოველ სოციალ-დემოკრატს გონია, რომ ქალაქის და სოფლის ეკონომიკის შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს, რომ მათი განვითარების კანონები ერთნაირია.

ამნაირად ჩვენ ორი მოსაზრება გვავალებდა აგრარულ საკითხის შესასწავლად უეჭველად ყურადღება მიგვექცია საკითხის თეორიულ მოსაზრებისათვის: 1) ის, რომ ქართულს მწერლობაში აგრარულ საკითხის თეორიის შესახებ თითქმის სრულიად არაფერი მოიპოება და) საბოლოოდ დაგვემტკიცებია ქართველ საზოგადოებისათვის, რომ სოფლის ეკონომიკას თავისი კანონი აქვს და მისი შესწავლა შეუძლებელია მარტო ბოგდანოვის „პოლიტიკურ ეკონომიით“, ან განსვენებულ წულუკიძის „პოლიტიკურ ეკონომიის ნარკვევებით“.

ჩვენ შევეცადეთ გამოგვერკვია სოფლის ეკონომიკის ბუნება და მისი ტენდენცია, განვითარების ხასიათი. სტატისტიკურ ცნობებს, რომელსაც ვიყენებდით დებულებათა დასამტკიცებლად, რამდენადმე განახლება ესაჭიროებოდა. ცხოვრება წინ მიდის და ახალ-ახალ მასალას გვაწვდის. ახალი მასალები მეოთხმოცდაათე წლების საერთო ევოლიუციას სოფლის მეურნეობაში არა თუ უარყოფენ, სავსებით ამართლებენ, ამტკიცებენ. შრომა არ დაგვიზოგავს ასეთ ცნობების შესაკრებად და ცხრილების გასაახლებლად, ამისათვის უმეტეს შემთხვევაში ვისარგებლეთ საერთაშორისო სტატისტიკურ ცნობათა კრებულით და პეტერბურგში არსებულ სამიწათმოქმედო მთავარ სამმართველოსთან არსებულ სტატისტიკურ განყოფილების 1916 წლის გამოცემით, რომელიც როგორც რუსეთის, ისე მსოფლიოს სოფლის მეურნეობის ცხოვრების შესახებ მრავალ ცნობას იძლევა.

თვით საქართველოს შესახებ, გარდა კავკასიის სტატისტიკურ კომიტეტების გამოცემებისა, საგუბერნიო სტატისტიკურ კომიტეტების ცნობებისა, ტყვევის მასალებისა და სხვა

✦ **ორმაგი ბუხჰალტერია ქართულს ენაზე.** როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ალექსანდრე საათაშვილს შეუდგენია ორმაგი ბუხჰალტერია ქართულს ენაზე. ადგენს ქართულს ენაზე აგრეთვე კომერციულს არითმეტიკას და ფინანსიურს გამოანგარიშებას. მალვე განზრახვა აქვს მომავალ აკადემიურ წლიდან შემოიღოს თავის კურსებზე ბუხჰალტერიის საგნების სწავლა ქართულს ენაზე.

✦ **ქართულ გიმნაზიასთან** არსებულ უფასო სასადილოს სასარგებლოდ შემოვიდა 300 მ. განსვენებულ ქ. ი. ამილახვარის ხსოვნის აღსანიშნავად მისი ნათესავებისაგან, რომელთაც სასადილოს გამგეობა დიდ მადლობას სწირავს.

✦ **პორუჩიკი გრიშა მახარაშვილი** მე 83 ფეხოსანი სამურის პოლკისა იყო გერმანიის ფრონტზე და აგერ 7 თვეა მისმა მშობლებმა არაფერი იციან მის შესახებ; თუ ვინმემ რაიმე იცის ზევით აღნიშნულ ოფიცრის შესახებ უმორჩილესად გთხოვთ შეგვატყობინოს შემდეგი მისამართით:

ქ. ქუთაისი, ძველი ტფილისის ქუჩა გიორგი მახარაშვილს.

✦ **ქართულ კლუბში** სამშაბათობით და პარასკეობით სინემატოგრაფია.

✦ **ქურდობა.** ივლისის 12-ს სასტუმრო „გრანდ-ოტელიდან“ გაიტანეს მრავალი სამანუფაქტურო საქონელი, მ.-ბ. კერიმოვას. ეჭვით სასტუმროს 5 მოსამსახურე დაიპატიმრეს.

✦ **„საქართველოს რესპუბლიკა“** საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალური გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორი პავლე საყვარელიძე იღებს მთხოვნელებს 12 ნახ.— 3 ს. (ბარონის ქუჩა, 6)

✦ **დაკარგული ბავშვი.** ორი კვირაა რაც სახლიდან წავიდა 14 წლის ვაჟი გიგა დარბუაშვილი. მას შემდეგ ყმაწვილი არა სჩანს. ვთხოვ ვინც იცის რამე ყმაწვილის შესახებ მაცნობოს მის მამას— ვასილი დარბუაშვილს ამატონოვის ქ. № 13.

## საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში.

**ქუთაისის კომიტეტის წევრთა კრება დანიშნულია ხუთშაბათს ივლისის 18-ს საღამოს 7 საათ. (ახ. დრ.) პარტიულ მთავარ ბინაზე, წევრებს ევალებათ დანიშნულ დროზე გამოცხადნენ.**

—

მუშათა კავშირის გამგეობა სთხოვს ადგილობრივ ამხანაგებს მიიღონ მხურვალე მონაწილეობა გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტის“ გავრცელებაში და ქონებრივ გაძლიერებაში. იმ ამხანაგებს წაიღო ფურცლები შემოწირულების შესაგროვებლად ევალებათ მოკლე ხანში წარმოადგინონ სრული ანგარიში. პროვინციელ ამხანაგებს ვსთხოვთ შეგვატყობინონ თუ სად და ვის სახელზე შეიძლება გაზეთის გაგზავნა გასავრცელებლად.

## მოწოდება

სოფელ სხვავში ახლად გახსნილ წიგნთ-საცავ სამკითხველოს გამგეობა ამით უმორჩილესად სთხოვს ყველა კულტურულ კერძო თუ საზოგადო დაწესებულებათ და ყველა იმ პირთ, ვისთვისაც საყვარელია სოფლის მშრომელთა კეთილდღეობა გათვითცნობიერების ხრივ, აღმოუჩინონ ჩვენდამი რწმუნებულ სამკითხველოს ქონებრივი დახმარება.

იმედი გვაქვს რომ ყველა ის პირი, ვისაც ერთხელაც არის უწვევია სოფელს სიმშილი კულტურულ საგნებისა და განსაკუთრებით რაჭველი ინტელიგენცია, გულმხურვალეთ შეხვდება ამ ჩვენს მოწოდებას და შესაფერს შემწეობას აღმოუჩენს ჩვენს ღარიბს სამკითხველოს.

გამგეობის თავმჯდომარე მასწ. **აბელ. კიკოშვილი.**

P. S. შემოწირული ამანათები უნდა იგზავნებოდეს ამ მისამართით: წერ. ს. სხვავა—აბელის, „სამკითხველოსათვის“, ა. ქ.

## საჩხერის ამბები

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

საჩხერის ნაწილი, ეს ტურფა მიდამოები, პატარძალსავით მოკაზმული არე, სამშობლო ნეტარ ხსენებულ დიდებულ მგოსნის აკაკი წერეთლისა, ნიადაგად გახდომია მოთარეშეთა ბრბოებს და ხალხი ჯოხებით ეტანება ამ კუთხიდან საქართველოს თავისუფლებას და თანაგრძნობას უცხადებს ბნელეთისა, ძარცვა-გლეჯისა და მონობის მოციქულებს. ოხ! წყეულიმც იყავთ, წყეულიმც, ძველო რუსეთო, რომ 117 წლის განმავლობაში ხელმწიფებით ისეთი ბნელეთი, ისეთი მონური სული განამტკიცე ამ ნაქებისა და მშვენიერს ხალხში, რომ მომავალ კეთილ ცხოვრებისა და ადამიანური ხებიაკან(?) გზის ძიების დროს ბელადებად, წინამძღოლებად გაიხადა შაბტუნიძე(?) ვანია სულაბერიძე, ფოლტალიონი ალექსანდრე გიგიშკორი(?), ყაჩაღი და ქურდი დარბაიძე, კაცის მკვლელი სიმონია სახაძე(?), გათახსირებული და ყველასაგან ცნობილი ბეროსოვი(?), ცნობილი ჯიოშვილები, ცხაშელი ხვედელიძე და ამ გვარი ხაძიკალები(?) და ბოროტი სულით აღტყინებულნი ბნელეთის ბაიოლტები(?).

საჩხერის ამბები თანდათანობით ქრონოლოგიურად ავწუსხეთ(?) თუ რა დროს და რა სამწუხარო ამბები მოხდა და სად, შევჩერდით ივლისის 7-ზე. ეხლა მოკლედ მოგახსენებთ თუ რა ხდებოდა ან რა კეთდებოდა ივლისის 14-მდე. საჩხერის მიდამოებიდან როგორც აღვნიშნეთ ივლისის 6-ს სრულიად განიდევნენ მოთარეშეთა ბრბოები. ერთი მათი შტო დარჩა სავანეში. მათ გასაფანტავად აღნიშნულ დღეს მცირე რაზმი გაიგზავნა სავანეში პორ. ყიფიანის მეთაურობით რადგანაც მოწინააღმდეგეებმა ძლიერად შემოუტიეს ჩვენებს, ეს უკანასკნელნი მთელის ღამით დარჩნენ ამ სოფლის პოზიციებზე და განაგრძობდნენ მათთან ბრძოლას. ივლისის 7-ს დილით გამოირკვა საშიშო მდგომარეობა ჩვენის რაზმისა და მათ მისაშველებლად ბ-ნმა იშხნელმა დამატებით გაგზავნა კიდევ რაზმი მარკოზ გოგიჩაიშვილის მეთაურობით, ამ დღეს აღნიშნულმა რაზმებმა საერთო შეტევით სავანიდანაც სრულიად განდევნეს წუწკი მოთარეშენი. ბრძოლის დროს მოჰკლეს მოთარეშეთა ერთი ბელადთაგანი, ქურდი და ავაზაკი დარბაიძე, ხოლო დაპატიმრებულია 13 კაცი ისინი ჩამოიყვანეს საჩხერეში დაპატიმრებულთა შორის აღმოჩნდა ჯარისკაცად ნამყოფი სანდრო მეცხვარიშვილი, რომლის სახლიდან ძლიერი სროლა აუტეხეს თურმე ჩვენს ჯარისკაცებს ივლისის 7-ს სავანეში. ეს მეცხვარიშვილი წინადღეებში ყოფილა დაპატიმრებული და ნაცვლად მონანიებისა განთავისუფლების შემდეგ წინანდებურად განუგრძვია მომხრეობა ავაზაკთადმი და მათთვის ისეთი დახმარება მიუცია, რომ მისი სახლი ერთ ძლიერ პოზიციად გადაუქცევია. როცა სანდრო მეცხვარიშვილის მამას შეეკითხნენ რათ შვრებით ამ ბოროტებასო, მან განუცხადა: რა ვქნა ოსები ძალით შემოდიან და ჩვენ ვინ გვეკითხებაო. მოკლულ დარბაიძეს ჯიბეში აღმოაჩნდა ყალბი პასპორტი სულ სხვა კაცის სახელზე. მისთვის პასპორტი მიუცია პერევისის სოფლის საზ. კომისარს, რომლის ჯეროვან გამასპინძლებისათვის ყოველივე ღონის ძიებაა მიღებული. ეს ამბავი მით არის გამაოცარებელი, რომ დარბაიძე მთელს ამ კუთხეში განთქმული იყო როგორც ქურდი და დაუნდობელი ავაზაკი. აი ასეთს ხალხს ბოროტების კიდევ უფრო გამაძლიერებლად სოფლის საზოგადოების კომისარი, დარაჯი წესიერებისა და კანონიერებისა პასპორტს აძლევს: წადი, სძარცვე და სტანჯე მშვიდობიანი ხალხი და მაშასადამე ნახევარი წილისა გახსოვდეს მეც მერგება, გამომიგზავნეო.

ტაქტიკურისა და კიდევ სხვა მოსაზრებითაც ივლისის 7-დან საჩხერის რაზმთა ხელმძღვანელს კაპ. ბ-ნ იშხნელს იარაღით შეტევა მოთარეშეთადმი შეუწყვეტია, მით უმეტეს, რომ ნიშნები აღმოჩენილა, რომ ოსებს თავიანთ დელეგატების პირით სამშვიდობო მოლაპარაკება განეზრახათ ჩვენებთან. როგორც ეხლა ირკვევა ოსების ეს განზრახვა გულწრფელი არ აღმოჩნდა. მოლაპარაკება მათ უფრო დროს მოსაგებად და კიდევ უფრო მეტი ძალების მოსაკრებად სდომებიათ, ამას ამტკიცებს აქ საჩხერიდან მიღებული ცნობები იმის შესახებ, რომ ოსთა მოძრაობის ბელადნი ცხინვალის რაიონში მობილიზაციასაც შესდგომიან და გადაუწყვეტიათ თავისუფალ საქართველოს გასამტვერებლად საჭირო ძალების შეკრება.

ივლისის 8-ს სოფელ ჭალიდან სამი კაცისაგან შემდგარი დელეგაცია მოსულა კაპ. იშხნელთან. დელეგაციაში ყოფილა ოსის მღვდელი, როგორც გადმოგვცეს, ოსია ეროვნულ საბჭოს წევრი ჯიოშვილი. პირადად დელეგაციას მთავრობის სრული მორჩილება განუცხადებია მეამბოხეთა სახელით, ხოლო წარმოიდგინეთ გაოცება რაზმთა მეთაურისა, როდესაც მას გაუხსნია და წაუკითხავს მეამბოხეთა შტაბის მიერ რუსულად და დალაგებულად მოწერილი ეპისტოლე. აი ეს ბარათიც: „წითელი გვარდიის შტაბს. რევოლიუციონური გლეხობა გამოვიდა თქვენგან ფეხქვეშ გათელილი თავის უფლებათა დასაცავად. მას არ სურს იარაღი აიყაროს. თქვენ ძალით ართმევთ ხალხს პირუტყვ-საქონელს, ცხენებს და სხვა ქონებას. სწვავთ და ანადგურებთ მშვიდობიან მცხოვრებლებს, მაშინ როდესაც ამ სოფლებში არ წარმოებს არავითარი სამხედრო მოქმედება. როგორც პატიოსან მშრომელ ხალხს, რევოლიუციონურ გლეხობას აღარა სურს დაექციოს სისხლი, საჩხერის წითელი გვარდიის შტაბმა იცოდეს კარგად, რომ ყოველივე ამ მოქმედებისათვის იგი პასუხს აგებს მთელი ქვეყნის რევოლიუციონურ სინდისიერების წინაშე, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ყველა ნაწილში ღვივდება მშრომელ გლეხობის ამბოხება. ეს გამოწვეულია თქვენის მოქმედებით, თქვენ თქვენს მთავრობას სთვლით, როგორც ხალხისაგან არჩეულს, მაგრამ თქვენ კარგად იცით რომ თითქმის მთელი მშრომელი ხალხი ამხედრებულია ამორჩეულთა წინააღმდეგ. მაშ რისთვის დავიდარაბობთ, ხალხი რომ მთავრობისათვის არ არის, არამედ მთავრობა ხალხისათვისაა. იცოდეთ რომ მშრომელი ხალხი იარაღს არ აიყრის და იბრძოლებს სიკვდილამდე. თუ მთავრობა მათ დასძლევს (რაც დიდად საეჭვოა) იგი მარტოკა დარჩება, რადგანაც ის მთავრობა, რომელიც ხალხისათვის არ არის, მთავრობას ვერ უწოდებთ. ხალხისათვის ფიზიკური(?) გონება გულების წინადადებას გაძლევთ თქვენ, ხელი აიღოთ ამ ტალახიან საქმეზე ეხლა ამ საშიშო დროს, როდესაც თვით ცხოვრება ჯოჯოხეთად იქცევა. ხალხს არ უნდა დაექციოს სისხლი, ვისიც უნდა იყოს, ამ მომენტიდან ყველა შემდეგი მოქმედებისათვის იგი თავიდან იხსნის ყოველივე პასუხისმგებლობას. იცოდეთ თუ ამ მომენტიდან არ დამყარდება მშვიდობიანობა თქვენ დაგედებათ ყოველივეში ბრალი. მთელის ქვეყნის პროლეტარიატის წინაშე თქვენ მოგიხდებათ პასუხისგება, ნუ აშხატებულხართ(?) ჩვენი დამარცხება არც ისე ადვილია როგორც თქვენა გგონიათ. სოლიდარობა ჩვენი თან და თან იზრდება და მტკიცდება და იზრდება მაშასადამე ჩვენი ძალაც. საკმაოდ ვართ შეიარაღებულნი და უეჭველია თქვენ მოგიხდებათ ძლიერადაც ანგარიში გაგვიწიოთ, თუ თქვენ ჭეშმარიტი მეგობრები (ასე ეძახით თქვენს თავს) ხართ ღარიბის, თქვენგან დამფრთხალი და შეშინებული გლეხობისა, დაგვანებეთ თავი, ნუ გვირღვევთ მშვიდობიანობას. ჩვენ სამუშაოზე გასვლა გვინდა, ჩვენი უმუშევრობით ჩვენც და თქვენც სიმშილით ამოვწყდებით. ეს დამარცხებულთა თხოვნა კი არ არის, არამედ პატიოსანი წინადადება ძლიერისა და თავის საქმის სამართლიანობაში დარწმუნებულ რევოლიუციონურ გლეხობისა. ჩვენი პირობებია: 1) შეწყვეტილ იქმნეს სამხედრო მოქმედება და დაუყოვნებლივ გაყვანილ იქმნეს წითელი გვარდია ჩვენი რაიონის საზღვრებიდან და დაგვანებონ თავი. 2) განთავისუფლებულ იქნენ ჩვენი ტყვეები. ჩვენის მხრიდანაც ჩვენს ფრონტზე დემობილიზაციას მოვახდენთ და გავანთავისუფლებთ თქვენს ტყვეებსაც და ამაზე შევრიგდეთ. თუ შერიგება გსურთ, გამოგზავნეთ თქვენი დელეგატები სამშვიდობო პირობების შესამუშავებლად ჩვენს შტაბში. საჩხერის რაიონის წინააღმდგარი (ВОССТАВШИХЪ) გლეხობის შტაბი. ივნისის 8, 1918 წ. № 5“.

ბ-ნს კაპ. იშხნელს გაუცემია ამ ბარათით მოთარეშეთათვის შემდეგი: ჩემთვის სრულიად გაუგებარია რა სამშვიდობო მოლაპარაკებაზე და რა ფრონტის დემობილიზაციაზე ლაპარაკობთ, მთავრობა თქვენ გთვლით თავისუფლებისა და რევოლიუციის მტრებად; თქვენ არავითარი ნება არა გაქვთ თავისუფალ საქართველოს ტერიტორიაზე [illegible] შექმნათ და [illegible] მობილიზაცია [illegible] დებას [illegible] რესპუბლიკის მთავრობის მოთმინება ლოიალობისას. ჩამაბარეთ იარაღი, ჩამაბარეთ მეთაურები, განთავისუფლეთ მშვიდობიან მცხოვრებთაგან გაძევნილი და თქვენ მიერ დატყვევებული უდანაშაულო პირნი უვნებლად შეასრულეთ მთავრობის ყველა მოთხოვნილება და დაიშალენით თქვენ თქვენს სახლებში, ნუ ღუპავთ თქვენს თავსა და მშვიდობიან მცხოვრებლებს, ნუ უშლით ხალხს მუშაობას, ფუჭდება ყანები და ხალხს კიდევ მეტი მწუხარება მოელის მამულების დაუმუშავებლობისა გამო. ჩემ წინადადებაა შესასრულებლად გაძლევთ ივლისის 9-დან ორის დღის ვადას. თუ ივლისის 11, 5 საათამდე დასაკმაყოფილებელ პასუხს თქვენგან ვერ მივიღებ, ამ დროიდან თქვენი მოქმედება იქნება გამომწვევი ჩემი სამხედრო წინსვლისა და შედეგად კიდევ უფრო მეტი სისხლი და მწუხარება მოელის ყველას, ჩვენი წესიერებისა და თავისუფლების მტრებსაო. თვალახვეულნი დელეგატები ჩვენებს სამშვიდობო გზამდე გაუცილებიათ და დაუბრუნებიათ, მეორე დღეს კიდევ მოსულან დელეგატები. მათ შორის როგორც გადმოგვცეს ყოფილა ერთი ვიღაც გადაცმული და გრიმ-გაკეთებული ინტელიგენტი. მოლაპარაკება იმავე საგანზე ყოფილა, ბ-ნს იშხნელს თავისი მოთხოვნილებანი გაუმეორებია და მოუგონებია: დადებული ვადა წინადადებათა უკლებლივ შესრულებისა გახსოვდეთო.

სამწუხაროდ, პასუხის ნაცვლად მეამბოხეებს უფრო მეტი ავაზაკური გამბედაობით განუგრძვიათ სოფლებში თარეში. როგორც გადმოგვცეს, ბოროტ-ძალებს თამარის დროიდან აშენებული ისტორიულად შესანიშნავი საგანის წმ. გიორგის სახელობის ტაძარი გაუტეხიათ და ბრბოთა სადგომად გადაუქცევიათ. სარწმუნოების შელახვა-შეგინებაში ჩვენებური მოთარეშენი ახალციხესა და ჯავახეთში მოთარეშე ოსმალთა ბრბოებს არ ჩამორჩებიან. სავანის ტაძარში თუ რამ ძვირფასი მოუხელებიათ, გაუძარცვავთ,, ავაზაკნი გაჰყოლიან სოფელ სავანეს მიუნგრევ-მოუსპიათ(?) დიმიტრი, სოსანა და მღვდელ ზაქარია აბაშიძის სახლები, გაუძარცვავთ ალექსანდრე და მისი ძმის ექიმ სვიმონ ჯაფარიძის სახლები, წაუღიათ ქიქიკო აბაშიძის სახლიდან ავეჯეულობა და გაუტაცნიათ ცხენები; აქვე ამოუღიათ ღვინო, დაუკლავთ ცხვრები, წვრილფეხა პირუ-

---

და სხვა კრებულებისა, ჩვენ ფართოდ გამოვიყენეთ ამიერკავკასიის რკინის გზის გამოცემა საქონლის მოძრაობის შესახებ. ეს გამოცემა (ოთხი ტომი) ძვირფას და მდიდარ(?) მასალას გვაძლევს საქართველოს ეკონომიურ გეოგრაფიის წარმოდგენისათვის, ალებ-მიცემობის დასახასიათებლად და სხ. სხვა წყაროების, სამეურნეო საზოგადოებათა გამოცემების, თვალ-აზნაურობის, ბანკების და სხ. ცნობებს ცალკე არ ვასახელებთ, სხოლიოში გვექნება აღნუსხული რამდენადაც მათი მოყვანა საჭირო იქნება ჩვენი საკითხისათვის.

რევოლიუციონურ დემოკრატიის განსახორციელებელ ერთ უდიდეს საქმეს როგორც საქართველოში ისე რუსეთში—მიწის საქმე შეადგენს. საქართველოს დემოკრატიას შეგნებული აქვს მომენტის სირთულე და სურს ხალხის კეთილდღეობის უმთავრესი საფუძველი ხალხსავე დაუმკვიდროს. ამისათვის ნაბიჯი უკვე გადასდგა ამიერკავკასიის კომისარიატმა მიწის დეკრეტის გამოქვეყნებით, საქართველოს ეროვნული საბჭოც ბევრ ღონისძიებას დახარჯავს საკითხის გონივრულად გადაჭრისათვის, მაგრამ ხალხის კეთილდღეობის ზოგად პრინციპის გატარება მიწის საკითხის გადაჭრის დროს საკმაო არ იქნება, შეიძლება მთელი წყობილებაც დაინგრეს, ხალხსაც ხელიდან გამოეცალოს სიმდიდრის საუნჯე თუ ხალხის კეთილდღეობის პრინციპი არ გაწონდა(?) ცხოვრების მსვლელობის შესაფერისი. მხოლოდ(?) ერთია ზოგად ნაკაზის გამოცხადება, მარტო ოცნების მიხედვით აგრარულ რეფორმის მოხდენა და სხვა ისეთი აგრარული წეს-წყობილების შემუშავება, რომელიც ცხოვრებას შეეფერება, მიწის მუშის ძვალსა და რბილში გაჯდება და არ დაირღვევა არავითარის საშუალებით. ყალბი აგრარული პოლიტიკა არა მარტო დემოკრატიას დაიზარალებს, რევოლიუციასაც ჩააგდებს საფრთხეში. ამიტომად ქართველ დემოკრატიის წინაშე ორი მიზანია განსახორციელებელი: 1) საერთოდ მიწის მუშის დაკმაყოფილება შრომის პრინციპის წამოყენებით და 2) ისეთი აგრარულ პოლიტიკის წარმოება, რომელიც პირველს, ზოგადი ხასიათის მიზანს გაანაღდებს. ხალხმა ძველი მთავრობა დაამხო იმიტომ, რომ ვერ დააკმაყოფილა ხალხის ინტერესები; დაეცა ის ინტელიგენციაც, რომელიც კარგ ნაკაზებს აქვეყნებს თუ ხალხს საქმით არ გამოადგა ნაკაზის პრინციპი. ჯერ კიდევ სამოცდაათი წლის წინად როდბერტუსი ხედავდა მუშა ხალხის გამოფხიზლებას, რომელსაც შეგნებული ქონდა თანამედროვე კაპიტალისტური სიდუხჭირე და სახელმწიფოს მოსთხოვდა ძირითად სოციალურ რეფორმების განხორციელებას [1]. მეოცე საუკუნეში უფრო მეტი შეგნება და მეტი გაჭირვებაა ვიდრე ეს იყო როდბერტუსის დროს. საერთო სიმდიდრე იზრდება და მუშა ხალხი კი იმდენადვე ღატაკდება. მუშა ხალხმა დაინახა ასეთი უსამართლობა და იბრძვის მის მოსასპობად [2]. ხალხი გამარჯვებული მაშინ იქნება თუ საერთო სიმდიდრის ზრდა აღარ იქნება მუშის უბედურება, თუ მუშის შრომა მუშას გამოადგება და ძველი ცხოვრების მსგავსად მუშები აღარ იქნებიან სხვისთვის მომუშავენი. მაშასადამე აგრარულ საკითხის გადაჭრამ საზოგადოების ნაწილებს შორის წინააღმდეგობა კი არ უნდა გააღმახოს, არამედ სოციალური ერთობა განამტკიცოს, უპირატესობა და უთანასწორობა საჭიროა გაუქმდეს არა მარტო უფლების ხფეროში, მამულის და ქონების დარგშიაც, რათა ერთის გამდიდრება არ იწვევდეს მეორეს გაღატაკებას. ასეთი მდგომარეობის შექმნა მიწის მუშის ბუნებრივი და ეკონომიური ინტერესია და აგრარული პოლიტიკაც უეჭველად ამ მხრივ უნდა იყოს მიმართული.

მაშასადამე კითხვა თავის თავად იბადება: რანაირად უნდა განხორციელდეს აგრარული პროგრამა? რა აგრარული პოლიტიკა უნდა ვაწარმოვოთ? რა მოვლენებს და ფაქტორებს მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, რომ მთავარი მამოძრავებელი ძალები იქმნეს საზრიან პირობებში ჩაყენებული. მაგრამ ჯერ უეჭველად უნდა გავითვალისწინოთ თუ რას წარმოადგენს თვით „აგრარული პროგრამა“, „აგრარული პოლიტიკა“ და სხვა? ჩვენ ხშირად ვხმარობდით „მიწა“-ს, „მიწის მუშას“, მაგრამ უფრო გარკვევით არაფერი გვითქვამს. აქედან მხოლოდ ის შეიძლება გამოვიყვანოთ, რომ აგრარული საკითხი მიწის და მუშის ურთიერთობაა, რომ ადამიანის ფიზიკურ ენერგიის დამოკიდებულება მიწასთან საფუძველს შეადგენს აგრარულ წეს-წყობილებისას. რასაკვირველია, ეს ასეა, მაგრამ რამდენადაც ჩვენ ძველ ცხოვრებას ვშორდებით, როდესაც მიწისა და შრომის ურთიერთობა მარტივი იყო, იმდენადვე ხსენებული ურთიერთობა გართულდა, მრავალგვარი სახე მიიღო და ასევე რთული ხასიათი დაურჩა აგრარულ საკითხსაც. ძველად—ამბობს ხრისტიანოვიჩი [3])—რომაელები, ბერძნები და მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ფრანგებიც და გერმანელებიც აგრარულ საკითხს უკავშირებდნენ მხოლოდ მიწადმფლობელობის საკითხს, რამდენადმე მიწის სარგებლობას. ამ ჟამად, ცხოვრების განვითარების მიხედვით, აგრარულ საკითხში აქცევენ: მიწის მფლობელობას, მიწის სარგებლობის წესს, სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების გასაღებას, მიწის ფასს, რენტის პრობლემას, მთელ წარმოებას და წარმოებასთან დაკავშირებულ ყოველგვარ კავშირს. ფრიდრიხ ჰერცი აგრარულ საკითხში იკვლევს სასოფლო მეურნეობის ფორმებს, საკოოპერაციო მოძრაობას, მუშათა კანონმდებლობას. როდბერტუსი, მარქსი და შმოლერი განსაკუთრებით აკვირდებიან პროცესს სამეურნეო წარმოებისას, დავიდი(?) ბერნშტეინი და ზომბარტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სოფლის მეურნეობის სპეციფიურ ხასიათს. ხოლო რუსეთში ილინი, მასლოვი, ლიაშჩენკო, ჩერნოვი და ოგანოვსკი კაპიტალისტურ წარმოების, ბაზრის და კულტურულ-ფსიქოლოგიურ ძალთა განწყობილებაში არკვევენ აგრარულ წყობილების პროცესს. კიდევ უფრო დაწვრილებით რომ შევეხოთ აგრარულ საკითხის წვრილმანებს, დავინახავთ, რომ სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის წარმოდგენა უნდა გვქონდეს ტეხნიკის, ქიმიის, გეოლოგიის, ფიზიოლოგიის, ბაქტერიოლოგიის, მეტეოროლოგიის, ირიგაციის, მელიორაციის, კრედიტის, სოციალურ დიფერენციაციის და სხ. საკითხებისა. ერთი სიტყვით, აგრარული საკითხი შეიცავს სოფლის მრავალმხრივ ცხოვრების უმთავრეს საფუძველს და მისი ნათლად წარმოდგენა მოითხოვს რთულ წყობილების მთელი ძალთა განწყობილების წარმოდგენას.

რამდენადაც რთულია აგრარული საკითხი, იმდენადვე ნაკლები მასალა მოიპოვება ჩვენში ამ საკითხის შესასწავლად. მართალია ყველა დიდ საკითხად სცნობს აგრარულ კითხვას, მაგრამ ქართულს ლიტერატურაში თითქმის არც ერთი მხარე აგრარული პრობლემისა სათანადოდ განხილული არ არის. თვით საქართველოში არსებული აგრარული ძალთაგანწყობილება მოაზრეთა აზროვნობის საგანს ნაკლებად შეადგენს; როგორც საერთოდ, ისე ნაწილობრივად აგრარული წყობილება ჩვენს მწერლობაში შეუსწავლელია და ეს გარემოება ჩვენ კიდევ უფრო გვირთულებს საქმეს და ძნელდება გონივრულ აგრარულ პოლიტიკის დასახელება.

პოლიტიკური პარტიები პროგრამებში აგრარულ პლატფორმის მხოლოდ ზოგად სასურველ ნორმებს ასახელებენ, პროგრამაში ვხედავთ პარტიულ ხებისყოფას, პროგრამის ვოლიუნტარულ ხასიათს, მაგრამ დასაბუთება ვოლიუნტარიზმისა, აგრარულ დეტერმინიზმის შესახებ კი თითქმის არაფერი მოიპოვება საქართველოში მომქმედ პოლიტიკურ პარტიებს.

თუ ასეთ განწყობილების მარტო სუბიექტიური მომენტის დასახელებით არ დავკმაყოფილდებით და შევეცდებით უფრო ღრმა იდეოლოგიური მიზეზი ვპოვოთ ხსენებულ ინდიფერენტიზმისა, დავინახავთ, რომ თუ აგრარულ საკითხის ძიებას ჩვენში ასე მცირე ადგილი ქონდა დათმობილი ამის ახსნა ჩვენ მარქსისტულ შემეცნების გავლენას უნდა მივაწეროთ. მკითხველს უნდა მოვაგონო, რომ კ. მარქსმა, რომელმაც კაპიტალიზმის ცხოვრების მრავალი მხარე დაწვრილებით შეისწავლა სოფლის მეურნეობას, როგორც განსაკუთრებულ ხასიათის მოვლენას, სრულიად გვერდი აუხვია და სოფლის მეურნეობაში იმ პროცესის შესაძლებლობა აღიარა, რომელსაც ის ხედავდა ინდუსტრიაში. მარქსის გულმოდგინე მოწაფეებსაც ასე ეგონათ: ფიქრობდნენ, რომ მეურნეობაში კაპიტალიზმის, ინდუსტრიის მსგავსი მოვლენები ხდება და დაახლოვებით სოფელში შრომის ინტერესები ისე უნდა დაიცვათ, როგორც ქალაქში პროლეტარიატისა. გამარტივებული, ჩვეულებრივი მოძრაობის მიხედვით ხსნიდნენ მოვლენას და ამიტომ დიდ საჭიროებასაც არ წარმოადგენდა სპეციალურად აგრარულ საკითხვისათვის თავის მტვრევა.

ამ ჟამად აგრარულ საკითხისადმი სოციალ დემოკრატიის დამოკიდებულება საფუძვლიანად შეიცვალა. რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის გამოჩენილი თეორეტიკოსი აგრარული საკითხისა პ. ლიაშჩენკო მარქსის კვლევა-ძიებისა და სოფლის მეურნეობისადმი უყურადღებობის გამო სწერს: „იმ ფაქტიურ მასალების გამო, რომელსაც მარქსი სარგებლობდა შეუძლებელი იყო სამიწადმოქმედო კაპიტალიზმის ისე ნათლად წარმოდგენა, როგორც სამრეწველო კაპიტალიზმისა. მის დროს სამრეწველო კაპიტალიზმი ძლიერად იყო განვითარებული... და კაპიტალისტურ მრეწველობის შინაარსის და ტენდენციის გამორკვევა უფრო ადვილი იყო“. [4]) მარქსის მოწაფის ამ დახასიათებას უეჭველია ყველა დაეთანხმება. მარქსს სასწაულის მოხდენა არ შეეძლო, რაც ცხოვრებაში ძლიერად სჩანდა მან ის ღირსეულად შეისწავლა. ასეთი ბედი ეწვია სხვა ეკონომისტსაც. ჩვენ მიერ ახსენებული ეკონომისტი კარლოს როდბერტუს-იაგეცოვი(?) უმთავრესად სოფლის მეურნეობის წესებს ეხებოდა, მაგრამ, მისი ოთხი თხზულება, რომელიც ამ ჟამად ჩვენს წინაშეა გადაშლილი მეურნეობას უმთავრესად იმ სამრეწველო კაპიტალიზმის თვალსაზრისით „აშუქებს“ რომელიც როდბერტუსის შემდეგ დაწვრილებით შეისწავლა მარქსმა.

**თედო ღლონტი.**

(შემდეგი იქნება).

---

[1]) იხ. კ. როდბერტუსი— „I სოციალური წერილი ფონ კირხმანისადმი“ გვ. 60.

[2]) იქვე, გვ 57.

[3]) იხ. ხრისტიანოვიჩი „სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის შინაარსი“, გვ. 94—65, „სამიწათმ. გაზ.“

[4]) იხ. პ. ლიაშჩენკო „რუსეთის აგრარულ ევოლიუციის მიმოხილვა“ ტომ. 1 გვ. 5.

ტყვე, გამოუცხვიათ პური და სავანის ტაძრის გალავანში ქეიფსა და დროს ტარებას შესდგომიან. მოთარეშენი გასულან სოფელ არგვეთში, დაუტყვევებიათ ძმანი დათა და მალაქია კურცხალიები, გაუტაცნიათ ქონება და წაუღიათ. ს. გორისაში, როგორც გადმოგვცეს, მისულან ეროვნულ საბჭოს წევრის, ყოფილ დეპუტატის ცნობილ საზოგადო მოღვაწისა და მწერლის ექიმ ვანო გომართელის სახლში. სიტყვის შებრუნებისათვის ძალზე გაულახავთ მსახური, ხოლო სახლი ისე გაუნადგურებიათ, რომ აქ მცხოვრებთა გადმოცემით ვანოს ოჯახი ჩინგის ყეენის დროის აკლება-აოხრებას მოაგონებს თურმე ადამიანს. ბოროტები ამითი არ დაკმაყოფილებულან: გამოუკითხავთ კაკი წერეთლის სახლი და კაკის რომ აქ ალარასფერი გააჩნია რას გაუფუჭებდნენ და გაუოხრებენ. შემდეგ ავაზაკებს შეუხვევიათ აბდუშელიშვილებს გაუსწრიათ გაქცევა ვენახებისაკენ. ქურდებს შეუნიშნავთ გაქცეული კოწია, დაუხლიათ თოფები, მაგრამ, საბედნიეროდ. იგი გადარჩენილა, კოწიას მეუღლეს ვერა იასონის ასულს აბდუშელიშვილისას აწივლებულს ქმრის უბედურობის მოლოდინში ვინ მიეშველებოდა საპატრონოდ; ავაზაკები მისცვივნიან და უბეში მიმალული 3000 მან. ამოუცლიათ, სხვა ნივთები გაუტაცნიათ და ეხლა თავს დასხმიან გიორგი და ვანო აბდუშელიშვილის ოჯახებს: თავზე ხელაღებულთ გაუცარცვავთ მათი სახლები. ესეც არ უკმარებიათ: დაუპატიმრებიათ გიორგის შვილები სამხედრო ექიმი გიგო, მასწავლებელი ტფილისის ქართულ გიმნაზიისა ვასილი და სტუდენტი ადიკო აბდუშელიშვილები, მათთან სტუმრად მყოფნი დისწულნი სანდრო ფალავანდიშვილი ქართლიდან, ტფილისის ქართულ გიმნაზიის მე 7 კლასის მოწაფე გიორგი ვასილის ძე წერეთელი და მსახური კობახიძე. დაუპატიმრებიათ აგრეთვე ვანოს შვილი სიმონკა აბდუშელიშვილი. წაურთმევიათ ცხენები, ნადავლით ცხენები დაუბარგავთ, ტყვეები წინ გაურეკიათ და წასულან სოფელ ჭალისაკენ თავიანთ ბანაკში. მკითხველი წარმოიდგენს რა საშინელი მწუხარება, რა ტირილ-ღრიალი იქნებოდა ამ უხეშ ძალთა თარეშის დროს, სოფლად გაფანტულ მზვერავებს, სამწუხაროდ, ეს საშინელი თარეში გამოჰპარვიათ, რადგანაც ყოველივე ეს 10—11-ს ისე მოხერხებულად და აჩქარებულად მოუხდენიათ, რომ მთხრობელიც არავინ აღმოჩენილა დროზე ეცნობებინა ყოველივე მოწესრიგეთათვის. ივლისის 11-ს დაპატიმრებულებიდან კოლია გ—ძეს აბდუშელიშვილს ძმებისაგან ცნობა მიუღია, ნუ შეგეშინდებათ ჩვენ ჯერ ცოცხლები ვართ და „კარგად" ვიმყოფებითო, ოღონდაც რომ კარგად იქნებიან. ტურა მგლების სადგურ ჭალის მთის ღრანტეებში შერეკილნი დატყვევებულნი. რაზმთა უფროს ბ-ნს იზხნელს, აღშფოთებულს ამ საშინელი ამბებისაგან ტაქტიკური მოსაზრებათა გამო საერთო შეტევა რამდენიმე დღით მაინც შეუჩერებია თუმცა მის ულტიმატუმის ვადა ივლისის 11-ს 5 საათზე გათავდა. კულტურული ზედ გავლენის მოსახდენად და საქმის ვითარების გასაცნობად ბ ნ იზხნელის ნებართვით მიტინგები გაუმართავთ ივლისის 9-ს სოფელ ბაჯითში 10-ს, სოფელ ჩიხაში და ივლისის 11-ს სოფელ ქორეთის საზოგადოებაში. ქორეთის მიტინგს 800 (ქალი და კაცი) ადგილობრივი მცხოვრები დასწრებია გურულთა რაზმიდან რამდენიმე ორატორს საგულისხმიერო სიტყვა წარმოუთქვამს. ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია ხალხზე ჯარის კაცს ჭაღარა შერთულს ჯიბლაძეს, რომელსაც დამსწრეთათვის გაუცვნია მიზანი საჩხერეში გურულთა რაზმის მოსვლისა და მოქმედებისა, აღუნიშნავს საერთო ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა და დასძენს: დღეს არ არის საქართველოს ტერიტორიაზე არც გლეხი არც თავადი, არც აზნაური. დღეს არის მხოლოდ თავისუფალი საქართველო და თავისუფალი ძისი მოქალაქენი, თავისუფალი მამულიშვილნი გურულებს ვერ გვასწავლით თქვენ ზემო იმერლები დაცვას დემოკრატიის თავისუფლებისას: განა ჩვენ რომ თავად აზნაურული სითოხზე გვენახა ჩვენს მთავრობის მოქმედებაში, დაგვასწრებდით თქვენ, ს. ჩხერლები, ქუდზე კაცის გამოსვლას, რათა დაგვეცვა უწმინდესი ჩვენთვის უფლებანი დემოკრატიისა? სირცხვილი თქვენდა, რომ თქვენ დაჰკარგეთ სიდინჯე, აჰყევით ყაჩაღთა ბრბოს და შეარცხვინეთ სახელი ჩვენის ბელადების ნ. ჟორდანიასი და კაკი წერეთლისა? რა პასუხს გასცემთ თქვენ კაკი წერეთელს, რომელმაც თავი დასდო მთელი რუსეთისა საზოგადოდ და საქართველოს დემოკრატიის ინტერესების დასეცავად კერძოდ? ბ-ნ ჯიბლაძეს ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია რომ ბევრნი სტიროდნენ როდესაც ესმოდა უბრალო ჯარისკაცის გულიდან ამოხეთქილი გულწრფელი სიტყვები.

სიტყვები წარმოუთქვამთ სხვებსაც ბოლოს სიტყვა უთქვამს საჩხერის რაზმთა უფროს კაპ. ბ-ნ იზხნელს რომელსაც მოკლედ დაუხასიათებია დღევანდელი მომენტი ჩვენი პოლიტიკური ცხოვრებისა და განუცხადებია: ნუ ყოყმანობთ ნუ ღუპავთ თავს იწამეთ ჩვენი გულწრფელი სიტყვა და მხარი დაუჭირეთ ჩვენს მთავრობას რევოლიუციონურ წესრიგის აღდგენაში. ჩვენი დღევანდელი მთავრობა, ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე. კაკი წერეთელი, გიორგი ლასხიშვილი, შალვა მესხიშვილი, ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი და სხვანი ეს თქვენი შვილები, თქვენივე უფროსი ძმები არიან, რომელთაც ბევრი სატანჯველი უნახავთ ნიკოლოზის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. მათ ციხეები და კატორღები უგემნიათ მხოლოდ მისთვის, რომ მოეპოვებინათ თქვენთვის და მთელი ჩვენი დემოკრატიისათვის თავისუფლება, ადამიანური ცხოვრებისა, დაუბრუნდით მშვიდობიან ცხოვრებას და გწამდეთ რომ მიწა და თავისუფლება ის თქვენ საბედნიეროდაა მოპოვებული და ნუ აყვებით ყაჩაღთა ბრბოებს, რომელთა მოქმედება თქვენ გიქადისთ დამონებას და სრულს გახრწნილებას, როგორც პოლიტიკურსა აგრეთვე ეკონომიურსა და ზნეობრივსაო.

ხალხს გულდასმით მოუსმენია ოფიციალურ წარმომადგენლის სიტყვა და პირი მიუცია რომ იგინი შეასრულებენ მთავრობის მოთხოვნილებას და მხარს მისცემენ მთავრობას ჩვენის თავისუფლების განმტკიცების საქმეში აქვე არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ მეტად არა სასიამოვნო საქციელი ზესტაფონის გვარდიელ-მილიციონერებისა, იგინი თავიდანვე უსულგულოთ მოქცეულან და 18 დღის განმავლობაში 120 კაციდან ისე უნამუსოდ და დაუკითხავად გაუგებარ მიზეზისა გამო დაფანტულან რომ ივლისის 14 თვის კაპ. იზხნელის რაზმში ამოდენა ხალხიდან მხოლოდ სამი ოფიცერი და სამი ჯარისკაცი დარჩენილა. მილიციონერები ისეთს თავდავიწყებამდისაც კი მისულან რომ ბრძოლის ველზე უპატრონოდ ოთხი ტყვიის მფრქვეველი მიუტოვებიათ. განა ეს სირცხვილი ბათომიდან გამოქცეულთა სირცხვილს არ აღემატება? განა მათ შეუძლიათ გაამხილონ რომ იგინი თავისუფალ საქართველოს შვილნი არიან?

ასეთმა არა სასიამოვნო მოვლენამ საჩხერის რაზმთა მეთაური იძულებულ ჰყო მიმართოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრს და აცნობოს ზესტაფონელ მილიციონერთა ერთი არა საკადრისი საქციელი.

ქაქუჩელა.

## ერთი სათქმელიც

მართლა კარგი ყოფილა დემოკრატიული რესპუბლიკა. გული სიამოვნებით მევსება, როცა უყურებ ჩვენს ყაზარმაში მესამე, მეოთხე კურსის სტუდენტებს. ადამიანებს უაღრესად ინტელიგენტებს როგორ იკიდებენ ზურგზე ნაგვის ტომრებს, ყუმბარების ყუთებს, როგორა ჰგვიან ყაზარმებს და უფრო სიამოვნება გულს, როდესაც ამავე ხალხს ნახავ სამსახურის გარეშე მშვენივრად, სუფთად გამოწყობილთ სამკითხველოში, ან სადმე ოჯახში, ან თეატრში. ეხლა ჩვენთვის სწავლა და განათლება მასთვის კი აღარ არის საჭირო, რომ კაი ჩიაოვნიკის ადგილი მოგვცენ, არაფერი გავაკეთოთ და განცხრომით ვიცხოვროთ. არამედ სწავლა-განათლება სულიერი საზრდოა, ყველასთვის აუცილებლად საჭირო. ეხლა ყველამ უნდა შეიძინოს იგი. ყველა უნდა გათანასწორდეს და ყველამ ერთნაირად იცხოვროს. დიახ, მართლა კარგი ყოფილა დემოკრატიული რესპუბლიკა და სწორედ იმისთვის ასე თავგანწირვით შეგნებული მუშა ხალხი და მასთან ერთად ინტელიგენცია.

მაგრამ როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ეს მოპოვებანი რევოლიუციისა როგორმე შევინარჩუნოთ?

მთავრობამ უპირველეს ყოვლისა უნდა გააძლიეროს პროპაგანდა სოფლად, მას თან უნდა ახლდეს ძალა და მიწების მიმღები კომისიები. გლეხის ფსიქოლოგია, როგორც გლეხსა და მათში გაზრდილს, მე ძალიან კარგად მესმის და ძალიან ვწუხვარ და გული მტკივა, რადგანაც ჩვენი გლეხი (და ალბად ყველა გლეხი) იმ უნამუსო დედაკაცს მომაგონებს ერთი უცხო მწერლისას, რომელიც იქითკენ გადიხრება, ვინც მეტს ფულს მისცემს, ან ვინც მეტ ფიზიკურ ძალას უჩვენებს, მარქსმა ტყუილად არა სთქვა, ვირი უფრო მალე შეიგნებს სოციალიზმს ვიდრე გლეხიო. ჰა და სასაცილო იქნებოდა, რომ ჩვენ გლეხს ძალიან ბევრი გამოვკითხოთ, თუ რასა ფიქრობს, რა უნდა. ეს ამას ემსგავსებოდა, მარქს რომ დათვი დაეჭირა და ამისთვის აეხსნა, ამხანაგო, სოციალიზმი ესა და ეს არისო. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით გლეხს რაც უნდა და მას უნდა მიეცეს ის, თორემ თუ გამოვკითხეთ, ამხანაგო რა გსურს, რომელს ირჩევო, შეიძლება მოსე წინასწარმეტყველისა არ იყოს, ყრმა როცა მოიყვანეს მეფესთან, ცეცხლს წაატანოს ხელი.

ჩვენ ვიცით რაც უნდა გლეხს და თუ არ ვიცით უნდა გავიგოთ და რაც საჭიროა იმისთვის. რაც იმას არგებს ჩვენ ის ძალად უნდა მივცეთ, თორემ ზოგიერთებს რუსეთი ჰსურთ და ჩვენ ხომ მკვდარს რუსეთს ვერ გაუცოცხლებთ.

ძველს დროს, ბიუროკრატიული მთავრობა თავის, ან ერთი პატარა ჯგუფის ინტერესებისთვის ათი ათასობით ხალხს ატუსაღებდა, კატორღაში ჰგზავნიდა, ხვრეტდა აღრჩობდა. ამით ის მილიონ ხალხს მწუხარებას აყენებდა რამოდენიმე პირებისათვის. თუ ის მთავრობა ერთი-ორი კაცისთვის ამას სჩადიოდა ჩვენმა მთავრობამ უნდა მთელი ქვეყნის საკეთილდღეოდ უფრო უაღრესი სასჯელი შემოიღოს.

ჩვენი გული—ტფილისი დაავადებულია, იქ მრავალი გახრწნილი ლტოლვილებია, ამას რეცეპტი ესაჭიროება და ეს რეცეპტი სასტიკი სასჯელის დაუყონებლად გაზშირებაა. ხუმრობა ხომ არ არის, მშრომელ ხალხს ქალაქის მუშას თოფი აუღია ხელში, გარეშემორტყმულ ბნელ ძალას თავგანწირვით იომეაა სამშობლოისა და ხალხის ინტერესების დასაცავად, ზურგში კი მას ვიღაცა სინდისზე ხელაღებული, დაცემული არამზადები მახვილსა ლესენ ზურგში ჩასაცემად.

კომისრები სოფლადაცა და ქალაქადაც უნდა იქმნეს არჩეული ძალიან დიდის დაკვირვებით და გამჭრიახობით. მთავრობამ არ უნდა შესწიროს სოფელი რომელსამე პარტიას. შარშან კომისრებად სოფლებში და თვით ქალაქებშიც (ეხლაც კი) სულ ქურდები და ავაზაკები იყვნენ და არიან, ვინც მეტად ეკვროდა ამა თუ იმ პარტიას იმას ირჩევდა კომისრად. მაგალითად ჩვენს სოფელში დღესაც ქათმებისა და ინდოურების ქურდები არიან კომისრებად. ეს იმისთვის, რომ ისინი გაიძახოდნენ ჩვენ სოციალ დემოკრატები ვართო. ბევრი ისეთი კაცია სოფელში უპარტიო, რომ სოფლის წაძღოლა შეუძლიან. მთავრობამ უნდა დააყენოს კაცი, რომელიც მისი ერთგული იქნება და სოფელს წინ წაუძღვება თავისი შორს გამჭრიახობით. თუ ეს არა სოფელი უკმაყოფილო დარჩება მთავრობისა და სოფელი ხომ მაცოცხლებელი ნაწილია სახელმწიფოსი.

განა მარტო სოფელში უნდა იქმნეს არჩეული კომისარი მაზრისა, თუ ოლქისა კარგათ უნდა იყოს აწონილდაწონილი სახელმწიფოებრივ სასწორზე და ის, ვინც იქნება დანიშნული კომისრად რომელსაც სახელმწიფოს მაგივრად ევალება სადგურის ჰკოხია, პირდაპირ ჟორდანიას გამოსთხრას პირველ თვალს. მაგალითად ქუთაისის რაიონის კომისარს ვიცნობ და ისიც ვიცი რეები ჩაუდენია. თვით ძველი მთავრობის დროსაც ათჯერ იქნებოდა ჩამორჩობილი ისეთი დანაშაული მიუძღვის მას ხალხის წინაშე.

რა უფლება აქვს, რომ ჩამოსული ლტოლვილები ამ საქმიანობაში უსაქმოდ სხედან და... მიართვით, აბამეთ, ასვით, ჩააცვით და სხვა არაფერი. მთავრობამ ეს მუქთამჭამელი ხალხი უნდა ამუშაოს, რამედ გამოიყენოს, თორემ რომ საქმე არა აქვთ რა ივითონ იჩენენ საქმეს უსაქმობით: დადიან და პროპაგანდას ეწევიან საქართველოს წინააღმდეგ.

—

დუშეთიდან ჩამოსულმა ამხანაგმა მითხრა, სომხები, რომლებიც ქარავნებად მიდიოდნენ ჩრდილო კავკასიაში, უკანვე ბრუნდებიანო. მაშ რა ეგონათ? განა იქ რუსებს სასახლეები აეშენებინათ მათთვის და გაშლილ სუფრაზედაც ელოდნენ? ან სად იყო მათი ინტელიგენცია საქართველოს წინააღმდეგ ლაპარაკით რომ ყბები გვერდზე მოქცევია და თვალები გადმოსცვივნია! სად იყო? რატომ არ აუხსნა თავის ხალხს რომ რუსეთი უკუღმო, უსავანო და დაშავებული ხარი მას ბუზებს ვერ გაურეკდა; ვერც შეიფარებდა თვით მიუსაფარი.

—

საქართველოს მთავრობამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენი სახელმწიფოს სიმდიდრეს, რომელსაც ულმერთოდ სძარცვავს და იტაცებს ჩვენი ხალხი. ამ მძარცველთა ზოგიერთი გვარები რომ გამოვაცხადო გაზეთში მთელი საქართველო ყბას დაიღებს განცვიფრებისაგან, რადგანაც მათგან არავინ იფიქრებდა ამ ხისადაგლეს მაგრამ მე ამას არ ვიზამ იმისთვის, რომ მცხვენიან უცხოელებისა და ვერიდები მტრების საამურ ხარხარს. ხოლო თუ საჭირო შეიქნება ეს დიდის მწუხარებით აღვნიშნავ მათ გვარებს დოკუმენტალურად. მთავრობამ ყურადღება მიაქციოს ამას.

ი. მეფდლიშვილი.

გამომცემელი
სამხრე ზურაბალაშა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა

კბილის ექიმის
ვ. ი. პიპინაძის
კაბინეტი
ავადმყოფებს ღებულობენ კბილის ექიმები: ვ. ი. პიპინაძე, ვ. დ. მირიანაშვილი და ს. ი. ჩარკვიანი 9—2 და 5—7-მდე.
მიხეილის პროსპ. 78. 591

ექიმი
გ. მ. მუხაძე
კოჯორში გაემგზავრა და აქ ავადმყოფების მიღება 1 აგვისტომდე შეჩერებულია. 1030

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და სად. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 ყბანი. 1002

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1158

ექიმი
ა. ქუსხელიშვილი
დილ. ავადმყოფთ დილ. 12—2 საათ. ...ის ქ. № 6.

კბილის ექიმი
კონსტანტინე არდაზიანი
გ ნახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი ა დაზიანის ბინა. 1219

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, ხიხდის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასაჟი. მისამართი მუხრანის ქ. № 11. 426

კერძო
მიხეილის სამკურნალო
მუდმივი ლოგინებით.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167. 747

მედიცინის დოქტორი
მიუნხენის უნივერსიტეტისა
ნ. ლ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ.
შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი.
ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმბოვიჩის აფთიაქის გვერდით. 624

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე.
პავლოვის ქუჩა, № 7. 2180

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
უფროსი ორდინატორი ტფილისის თავადთა საავადმყოფოსი, იღებს 4—6 ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგიევის ქ. № 1. მეორე სართული. 1009

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეზხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 8. 450

თვალის სამკურნალო
მუდმივი საწოლით
ექიმ დონხინისა
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში, თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროს. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად), მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმი
დ. ვ. [illegible]
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ; ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუ. № 41. ტელეფ. 14—09 1082

ექიმი
პ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეზხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმ.)
გ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. გ. აგაბაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმ.
ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ხ. გ. ავეტიხიანი—9—11 ს. საკუთარივ ბავშვთა ავადმ.
ი. ი. ტერ-გრიგორიანცი: 1—2 ს. შინაგანი.
საღამოთი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1019

საჯარო ვაჭრობა
ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ივლისის 20-ს გამგეობას თანადასწრებით მოხდება
საჯარო ვაჭრობა:
გასაცემია დასამზადებლად საფოსტო ნიშნები 5800 ცალი, 1919 წლისათვის. ნიშნების ნიმუშების ნახვა და ყოველგვარი ცნობის მიღება გადასახადების ბიუროს კანცელარიაში. 1232

„სახალხო საქმის"
რედაქციის კანტორაში
იყიდება შემდეგი წიგნები:



| | |
|---|---|
| ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია" მხოლოდ მეორე ტომ. | 3 მ |
| დლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია" წ. I | 4 „ |
| გრდემლი წ. I | 3 „ |
| ქართველი მწერლები. | 2 „ |
| უცხოეთის „ | 2 „ |
| შიუკაშვილი—„მეგობრობა". | — 60 კ. |
| ჯანაშვილი—„თამარ მეფე". | 1 „ 20 „ |
| ფირცხალავა ს. „სამაჰმადიანო საქართველო" | — 40 „ |
| დლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი" | — 50 „ |

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიცა შესრულდება დაუყონებლივ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე".

სტამბა
„სახალხო საქმე"
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანცლარის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14. ტელეფონი 17—96